ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 31 აგვისტო, 2022 №171 (8949) ფასი: 80 თეთრი



გვ.5

## ადვოკატი: ძმები კაკულიები წარდგენილ ბრალს არ აღიარებენ

## სოსო გოგაშვილის დაცვის უფროსს, ალექსანდრე სამხარაძეს, ბრალდება წარუდგინეს


გვ.5

# „ოცნებამ“ ხელისუფლების შენარჩუნება გადაწყვიტა და ყველაფერზე მიდის“


გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „ქვეყანაში, ვისაც რევოლუციის მოწყობა შეეძლო, ციხეში ზის“



„გოგაშვილი ვერც ოპოზიციას დაარტყამს და ვერც მთავრობას, თვითონ სრულიად დისკრედიტირებული ფიგურაა და ამით ყველაფერი ნათქვამია. მისთვის რომ გკითხათ, თვენახევრის წინ რევოლუცია უნდა მოეხდინა. ამ ქვეყანაში ყველა რევოლუციით იმუქრება ხოლმე, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი!“

## „2003 წლიდან საქართველოში 762 ხანძარი იყო, 8 ათასი ჰექტარია დამწვარი“


გვ.3

გიორგი გაჩეჩილაძე: „ხანძრის დროს ცხოველები ტერიტორიას ტოვებენ, სხვაგან გადადიან. მერე ეკოსისტემის აღდგენა რთული პროცესია. დაახლოებით 50 წელი სჭირდება, საბოლოო სახე რომ მიიღოს“


გვ.2

## გია ცაგარეიშვილი: „ოპოზიცია, ეტყობა, ჩარკვიანისგან ლეიბებს ისესხებენ თუ იჩუქებენ და გაკოტრიალდებიან ერთად“

## როგორ ასხამენ პუტინის წისქვილზე წყალს რუსი ლიბერალები


გვ.3

უკრაინელი ანალიტიკოსი: „პუტინის გადაწყვეტილება არმიის გაზრდის შესახებ ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების იმიტაციაა“

## ეკა ხერხეულიძე: „უცხოელი ექსპერტები მძიმე შთაბეჭდილებით წავიდნენ“


გვ.2


გვ.4

## ბიძინა კულუმბეგოვი: „შესაძლოა, საქართველოში ყოველდღიურად კორონავირუსის 6.000-დან 20.000-მდე ახალი შემთხვევა ცირკულირებდეს“

1993230720223

4 საქართველოში რეგისტრირებული 544 რუსული კომპანიიდან მხოლოდ 2-ის საქმიანობის სფეროა ცნობილი

5 რუსთავში 40 წლამდე მამაკაცი დაჭრეს

6 პაპმა ფრანცისკემ რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებული ფართომასშტაბიანი ომი დაგმო

7 გახდება რონალდუ კვარაცხელიას თანაგუნდელი?

# „ოცნებამ“ ხელისუფლების შენარჩუნება გადაწყვიტა და ყველაფერზე მიდის“

## თორნიკე შარაშენიძე: „ქვეყანაში, ვისაც რევოლუციის მოწყობა შეეძლო, ციხეში ზის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.



***– ბატონო თორნიკე, ხელისუფლება აქამდე კონკრეტულ პიროვნებებზე ახდენდა თავდასხმას, ახლა კი ინსტიტუციებზე გადავიდაო, ვისმენთ შეფასებებს. ვენეციის კომისიას აკრიტიკებს „ოცნება“ და დასკვნას უწუნებს. რა უნდათ, რა გზას დაადგნენ?***

– სადაც ამერიკის ელჩს ესხმიან თავს და აკრიტიკებენ, ვენეციის კომისია რაღაა მაგათთვის?! რა პრობლემას წარმოადგენს!

***– ყველა ინსტიტუტი თუ ასე მოიმდურეს, ვინ აღმოჩნდება ბოლოს ჩვენ გვერდით?***

– „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლების შენარჩუნება ჩაიფიქრა, მარტივი ახსნა აქვს ამას ყველაფერს, გადაუვლიან, გადათელავენ ყველას და ყველაფერს, რაც წინ გადაეღობებათ. ვენეციის კომისია თუ შეუშლის ამაში ხელს, მასაც გალანძღავენ, რა პრობლემაა.

> **„გოგაშვილი ვერც ოპოზიციას დაარტყამს და ვერც მთავრობას, თვითონ სრულიად დისკრედიტირებული ფიგურაა და ამით ყველაფერი ნათქვამია. მისთვის რომ გეკითხათ, თვენახევრის წინ რევოლუცია უნდა მოეხდინა. ამ ქვეყანაში ყველა რევოლუციით იმუქრება ხოლმე, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი!“**

***– სახალხო დამცველის არჩევის წესზე მიდის დავა. არ უნდათ არასამთავრობო ორგანიზაციიდან, რატომ, იციან რომ ვერ გააკონტროლებენ?***

– რასაკვირველია! დიდი ხნის პრაქტიკაა, მგონი 2007 წლიდან მოყოლებული ასეა, რომ სახალხო დამცველი ყოველთვის ოპოზიციურია. როგორც ჩანს, ეს არ მოსწონს „ქართულ ოცნებას“. ყველაფერი, რასაც დღეს ხელისუფლება აკეთებს, ეს ხდება ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით. ამას სხვა ახსნა არა აქვს და ვერც ექნება. ყველანაირი კონსპირაციული ამბები აქ უადგილოა. ძალიან მარტივი თემაა, უნდათ ხელისუფლების შენარჩუნება და მიდიან ყველაფერზე!

***– ოპოზიცია აქციებს აანონსებს შემოდგომიდან. მოვისმინეთ მათი დესტრუქციული განცხადებები გადატრიალებასა და საბოტაჟზე. ახლა ირაკლი ღარიბაშვილი გამოდის და ქვეყანაში გაჩენილ ხანძრებს ოპოზიციას აბრალებს. დესტრუქციული ძალები გვყავს ქვეყნის შიგნითო. რატომ აძლევს ოპოზიცია ხელისუფლებას ამის საბაბს?***

– ყველამ ხომ მშვენივრად იცის, თავად ოპოზიციამაც, რომ არავითარი გადატრიალების და რევოლუციის მომწყობნი ეგენი არ არიან. რევოლუციის დაანონსება და ეს უაზრო ბაქი-ბუქი, რასაკვირველია, ისევ ხელისუფლებას აძლევს ხელს. გამოდიან ახლა და სამ ხმაში გაიძახიან, აი დესტრუქციულები არიან, კონსტიტუციური ფარგლებიდან გადიან, ანგრევენ ქვეყანას. ომში ითრევენ და ასე შემდეგ. თუ რამის თავი გაქვს, პირიქით, უნდა გაჩუმდე და მოემზადო! როცა არაფრის თავი არ გაქვს, მაშინ ყვირიხარ. ამას დაკვირვებული ვარ.

***– ამას ვერ ხვდება ოპოზიცია თუ მიზანმიმართულად აკეთებენ?***

– რა ვიცი, რა გითხრათ. ალბათ ვერ ხვდებიან.

***– ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძე იმუქრება ყველაზე მეტად და როდესაც არც მხარდაჭერა გაქვს დიდი, რის იმედით აანონსებ გადატრიალებას?***

– გირჩი ჯაფარიძეს თავისი ნიშა აქვს, მას აქვს იუმორის გრძნობა და უყვარს ხალხის გართობა. ამ ყველაფრით თვითონაც ერთობა. კარგით რა, რომელი რევოლუციის მომწყობია ზურა ჯაფარიძე?! რევოლუციის მომწყობი ვინც იყო, ციხეში ზის!

***– აცხადებთ, რომ ერთადერთი მიზანი აქვს „ოცნებას“ ხელისუფლების შენარჩუნებაო. რა ძალას დაუპირისპირებს ოპოზიცია, როდესაც ცხელ შემოდგომას გვიანონსებენ?***

– ჯერჯერობით, ვერც ვერაფერს. აბსოლუტურად ვერაფერს ვერ დაუპირისპირებს. დღეს ისეთი განლაგებაა, რომ ოპოზიცია ვერაფერს იზამს.

***– რევოლუციის მომწყობი ვინც იყო, ციხეში ზისო ბრძანეთ. არც ნაცმოძრაობაშია საქმე კარგად. სერიოზული დაპირისპირებაა შიგნითო, გამოდის ხმები. მიშას გარეშე ვერ შეძლეს სიტუაციის მართვა?***

– მიშას გარეშე ვერავინ ვერ მართავს ამ პარტიას, დარწმუნებული ვარ. ერთადერთი ავტორიტეტი, ვინც ამ პარტიაში არის, არის მიშა. სხვა ვინც არ უნდა იყოს პარტიის ლიდერი, მას არ აღიარებს პარტიის დიდი ნაწილი. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება, მელია თუ გრიგოლ ვაშაძე.

***– ამერიკელი ექსპერტები ჩაერთნენ სააკაშვილის საქმეში. რამე მის სასიკეთოდ გადაწყდება?***

– ვნახოთ, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. ჩემზე უკეთესად ისინი იტყვიან.

***– არის მზაობა და სურვილი ხელისუფლებაში, რომ მიშა გაუშვან? ბევრი ფიქრობს, რომ ხელისუფლებას ის ციხეში აწყობს.***

– ამის არანაირი მზაობა არ ჩანს. ნამდვილად არ უნდათ მიშას გაშვება. აშკარად არ ენდობიან და ამიტომაც არ გაუშვებენ.

***– 12-პუნქტიან გეგმასთან დაკავშირებით რა მოლოდინი გაქვთ? მაინცდამაინც დეკემბრის ბოლოს უნდა გავიგოთ, რა გააკეთა ხელისუფლებამ ამ მიმართულებით?***

– პროცედურულად შეიძლება რაღაცრაღაცები გააკეთონ. შინაარსობრივად როგორ შესრულდება, ეს სხვა ამბავია. ესენი მაქსიმალურად დროს წელავენ. თანაც უკრაინაში მიმდინარე პროცესებს აკვირდებიან.

***– ხელისუფლების შიგნით თუ ელოდებით ცვლილებებს? პრემიერის შეცვლაზე მიდის საუბარი.***

– ამ ეტაპზე არანაირი ცვლილება არ იქნება. ბიძინას ახლა არანაირი ცვლილებები არ სჭირდება. ღარიბაშვილი არის ისეთი ტიპი, როგორიც ამ დროს სჭირდება ბიძინას. დარწმუნებული ვარ, ისევ ღარიბაშვილი იქნება.

***– ღარიბაშვილი ახსენეთ და მისი გამოსვლები კიდევ უფრო აღიზიანებს საზოგადოებას. ამ ქვეყანაში არ ცხოვრობს, როდესაც აცხადებს მსოფლიოს ვაოცებთ ჩვენი ეკონომიკური მაჩვენებლებითო?***

– ჰყავთ პარტიაში ხალხი, ვისაც მისი სჯერა და სწორედ ამ ელექტორატზეა გათვლილი ეს განცხადებები.

***– სოსო გოგაშვილი იმუქრება ციხიდან და ოპოზიციის იმ ნაწილის „ჩაშვებას“ აპირებს, ვინც ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა და მისი სატელიტიაო. ეს კიდევ უფრო ხომ არ დააზარალებს ოპოზიციას?***

– გოგაშვილი ვერც ოპოზიციას დაარტყამს და ვერც მთავრობას, იმიტომ, რომ გოგაშვილი არის თვითონ სრულიად დისკრედიტირებული ფიგურა და ამით ყველაფერი ნათქვამია. მისთვის რომ გეკითხათ, თვენახევრის წინ რევოლუცია უნდა მოეხდინა. ამ ქვეყანაში ყველა რევოლუციით იმუქრება ხოლმე, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი!

## გია ცაგარეიშვილი: „ოპოზიცია, ეტყობა, ჩარკვიანისგან ლეიბებს ისესხებენ თუ იჩუქებენ და გაკოტრიალდებიან ერთად“



„ეტყობა, ჩარკვიანისგან ლეიბებს ისესხებენ თუ იჩუქებენ და გაკოტრიალდებიან ერთად, კოლექტიურად რუსთაველზე – ამით ვერავის შეაშინებ ამ ქვეყანაში, მით უმეტეს, ამ ხელისუფლებას“ – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გია ცაგარეიშვილმა ჟურნალისტებთან ოპოზიციაზე საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ოპოზიცია ხელისუფლებას მუდმივად მუქარის ენით ესაუბრება.

– ჩვენ ეს 12 პუნქტი უნდა შევასრულოთ, ამას წყალი არ გაუვა. ჩვენ ოპოზიციის ხმების გარეშე ვერავის ავირჩევთ, ესეც წყალგაუვალი ჭეშმარიტებაა. 90 მანდატია საჭირო ომბუდსმენის ასარჩევად, რაც „ქართულ ოცნებას“ ხელთ არ უპყრია. ამიტომ აუცილებელია დიალოგი და მსჯელობა, რომელიც დღეს დაიწყო. ამისგან გარიდება, ვიღაცის ზურგს უკან ამოფარება, რომ აპრიორი ამას (არასამთავრობო სექტორის მიერ შერჩეულ კანდიდატს) დავეთანხმებით, იქნებ ცუდ კანდიდატს წარმოადგენენ, მაინც ეთანხმებიან? ამგვარი ახირება და აღტკინება ჩემთვის წარმოუდგენელია. მაშინ კონსტიტუციაში ავსახოთ ეს ყველაფერი და გადავაქციოთ ცხოვრების წესად, რომ რასაც არასამთავრობო სექტორი იტყვის, ისე უნდა ვიცხოვროთ. ეს ხომ წარმოუდგენელია. მე არ ვეთანხმები ამ მიდგომას. ამიტომ მოვიწვიეთ ყველა სასაუბროდ, რა გზას დავადგეთ, რომ მოვუპოვოთ მხარდაჭერა ადამიანს, რომელიც დეკემბერში უნდა ავირჩიოთ სახალხო დამცველად, რა მოთხოვნები უნდა წავუყენოთ და ვინ უნდა იყოს ეს ადამიანი. ამაზე სასაუბროდ შევიკრიბეთ და რა გააკეთეს? მიატოვეს სამუშაო ჯგუფი.

სხვათა შორის, ნაციონალურმა მოძრაობამაც და „სტრატეგია აღმაშენებელმაც“ თანხმობა განაცხადა, „სტრატეგია აღმაშენებელში“ ორი ადამიანია პარტიაში, ორმა ადამიანმა ერთმანეთს ვერ გააგებინა, ვინ სად უნდა წავიდეს და როგორ უნდა წავიდეს, ერთმანეთში ვერ გაურკვევიათ, ვინ სად უნდა მივიდეს და პროცესს შლიან. გაერიდონ ამ პროცესს, ჩაიკეტონ, მუშტი მოგვიღერონ, თანაც დაგვამუნათონ, გვითხრან – თუ არ გააკეთებთ იმას, რასაც გეუბნებით, ქუჩაში გავცვივდებით და ცხელ შემოდგომას მოგიწყობთ. 12 პუნქტში პირველი დეპოლარიზაციაა და ამ ადამიანებს დეპოლარიზაციისკენ მიჰყავთ საქმე?! ეს რას ნიშნავს, როცა ადამიანები მხოლოდ მუქარის ენით გესაუბრებიან, რომ თუ ამას არ გააკეთებ რუსთაველს გადავკეტავ, ეტყობა, ჩარკვიანისგან ლეიბებს ისესხებენ თუ იჩუქებენ და გაკოტრიალდებიან ერთად, კოლექტიურად რუსთაველზე. ამით ვერავის შეაშინებ ამ ქვეყანაში, მით უმეტეს, ამ ხელისუფლებას, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

## ეკა ხერხეულიძე: „უცხოელი ექსპერტები მძიმე შთაბეჭდილებით წავიდნენ“



ნაციონალური მოძრაობის წევრის, ეკა ხერხეულიძის განცხადებით, მას „არ ეშინია“ თუ ალტერნატიული კომისია ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლაში ჩაერთვება.

მისი თქმით, ყველა იტყვის ერთს, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია.

როგორც ხერხეულიძემ კლინიკა „ვივამედში“, ყოფილი პრეზიდენტის მონახულების შემდეგ განაცხადა, ეს არის დროის გაჭიანურების მცდელობა.

– მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა იგივეა. წონაში კიდევ აქვს კლება. ეს იმ ექსპერტებმაც აღნიშნეს, რომლებიც მასთან გუშინ იყვნენ შესულები. ის სურათი, რაც დახვდათ, მათთვის სრულად გასაკვირი იყო. გაცილებით მძიმე შთაბეჭდილებით წავიდნენ, ვიდრე მათ პაციენტის ისტორიიდან ჰქონდათ ცნობა. აქედან გამომდინარე, ვითარება რთულია. ეს ყველას უნდა ესმოდეს, ვისაც ხელეწიფება მიხეილ სააკაშვილისთვის შანსის მიცემა, რომ მან სასჯელის გადავადებით შესაძლებლობა გახადოს, საკუთარ ჯანმრთელობას უშველოს. ჩვენი მოლოდინია ის, რომ მიხეილ სააკაშვილს მკურნალობის და ქვეყნიდან გასვლის უფლება უნდა მიეცეს, სრულყოფილი რეაბილიტაციის ჩატარების, რასაც მას ურჩევენ საერთაშორისო ექსპერტები და ქართველი ექიმები, რომლებიც აქამდე იყვნენ პროცესში ჩართულები.

როგორც ამ ქვეყნის მოქალაქისთვის, ჩემი პოზიციაა ჩაერთონ ექსპერტები. რაც მეტი ალტერნატიული კომისია ჩაერთვება ამ საქმეში, მით მეტი ადამიანი იტყვის მხოლოდ ერთს, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა არის კრიტიკული. მე არ მეშინია ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების, მეშინია იმ მდგომარეობის, რაც ახლა ამ ადამიანს აქვს. კრიტიკულად განწყობილი ექსპერტიზის ჩართვის არ მეშინია, იმიტომ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთი შეფასება ექნება, დაადასტურებენ იმას, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია, – განაცხადა ხერხეულიძემ.

## მამუკა მდინარაძე: „წალენჯიხის ნაცმა მერმა „ქართული ოცნების“ მომხრეები გაათავისუფლა სამსახურიდან“

წალენჯიხა არის ერთადერთი მუნიციპალიტეტი საქართველოში დღეს, რომელსაც მართავს „ნაცი“ მერი და წალენჯიხა არის მოდელი, როგორ მოიქცევიან ან იქცეოდნენ წარსულში „ნაცები“ – ასე გამოეხმაურა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე წალენჯიხის მერის, გია ხარჩილავას, მიერ რამდენიმე ადამიანის სამსახურიდან გათავისუფლებას.

მამუკა მდინარაძეს თქმით, წალენჯიხის მერმა, ადამიანები დაკავებული თანამდებობიდან მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლა და არ იხელმძღვანელა არც ერთი სხვა კრიტერიუმით.

– წალენჯიხა არის ერთადერთი მუნიციპალიტეტი საქართველოში დღეს, რომელსაც მართავს „ნაცი“ მერი და წალენჯიხა არის მოდელი, როგორ მოიქცევიან ან იქცეოდნენ წარსულში „ნაცები“, პირველი – არაფრის გაკეთება, არაფერი გარდა პოპულისტური ნაბიჯებისა და მეორე, პოლიტიკური ნიშნით დაჩაგვრა და ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლება. წალენჯიხის ნაცმა მერმა სია დადო, „ქართული ოცნების“ მომხრე ვინ იყო და „ქართული ოცნების“ მომხრეები გაათავისუფლა სამსახურიდან. არანაირი სხვა ნიშანი, არანაირი სხვა მაკვალიფიცირებელი ამ ადამიანების გამორჩევისა არ ყოფილა. კვალიფიკაციას, გამოცდილებას ვინ რას აკეთებს, ამას ყველაფერს გადაუსვა ხაზი და გაათავისუფლა მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით. ეს არ გვიკვირს, იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა ასე იქცეოდა წარსულში და ასე მოიქცევა მომავალში. ეს არის მათი საფირმო და სამარკო ნიშანი. გარდა იმისა, რომ წამება და უბედურებაა მათი ნიშანი და ასე იქცეოდნენ, ერთ-ერთი ნიშანი გამოამჟღავნა წალენჯიხის მერმა, რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლა ადამიანები სამსახურიდან, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „2003 წლიდან საქართველოში 762 ხანძარი იყო, 8 ათასი ჰექტარია დამწვარი“

## გიორგი გაჩეჩილაძე: „ხანძრის დროს ცხოველები ტერიტორიას ტოვებენ, სხვაგან გადადიან. მერე ეკოსისტემის აღდგენა რთული პროცესია. დაახლოებით 50 წელი სჭირდება, საბოლოო სახე რომ მიიღოს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.**



***– ბატონო გიორგი, არსებობს ეჭვი, რომ ხანძრები, რომელიც საქართველოში ბოლო დროს გაჩნდა, შეიძლება, დივერსიული აქტების შედეგი იყოს. რა აზრი გაქვთ ამასთან დაკავშირებით?***

– საერთოდ, მიუხედავად იმისა, მაღალი ტემპერატურაა, მშრალი ამინდებია, ადამიანის როლი ხანძრების გაჩენაში მაინც ხშირია. ბუნებრივი პროცესებიც არის, როდესაც გვალვებია, ან მეხის დაცემა წვავს ტერიტორიას, ან კიდევ მაღალი ტემპერატურის დროს ნაგავსაყრელზე აალება ხდება. ხომ გინახავთ, ნაგავსაყრელები რომ ბოლავს.

მაღალი ტემპერატურის დროს ასეთი პროცესები გამორიცხული არ არის, მაგრამ ყველაზე ხშირად ხანძრები ადამიანის ჩარევის შედეგად ჩნდება. ვთქვათ, დაუდევრობით – შეიძლება ვიღაცამ კოცონი დაანთოს, სიგარეტის ნამწვი გადააგდოს და ყურადღება აღარ მიაქციოს. თუმცა, ხანძრები, შეიძლება, დივერსიული აქტების შედეგიც იყოს.

***– თურქეთის თვითმფრინავების დახმარებით ბორჯომში ხანძარი ჩააქრეს, მაგრამ რამდენიმე საათში ცეცხლმა ისევ იფეთქა, ასევე ხანძარი გაჩნდა ახალციხის მიმართულებით და თბილისთან ახლოს, შავნაბადასა და ზემო ფონიჭალაში. შეიძლება ასე მასობრივად ხანძრების გაჩენა ბუნებრივი მიზეზით ხდებოდეს?***

– ძნელი სათქმელია, მაგრამ დივერსიული აქტების ალბათობაც ძალიან დიდია. საქართველოს მოსახლეობას ჰგონია, რასაც ტელეეკრანზე ნახავს, მხოლოდ ის ხდება. სტატისტიკის თანახმად, 2003 წლიდან 2021 წლის პერიოდში საქართველოში 782 ხანძარი გაჩნდა. იყო შემთხვევები, როდესაც ყოველწლიურად 95, 66, 118 ხანძარი ჩნდებოდა.

შეიძლება, ეს ლოკალური, პატარა ხანძრებიც იყო, მაგრამ საზოგადოებამ არ იცის (მაშინ ტელევიზიები ხომ თავისუფალი არ იყო), რომ 2006 წელს იყო ყველაზე დიდი ხანძარი აბასთუმანში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. დაახლოებით 600 ჰექტარი დაიწვა, ვერაფრით ჩააქრეს და, როგორც დღეს, თურქეთი და მეზობელი ქვეყნები დაგვეხმარნენ თავისი ტექნიკით. შემდეგ ყველაზე დიდი ხანძარი, 2008 წელს, ბორჯომში იყო.

***– დიახ, რუსებმა რომ დაბომბეს.***

– მაშინ ბორჯომის ხეობაში 1.000 ჰექტრამდე ტყე დაიწვა. მაშინაც ხანძარი დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა, მისი ჩაქრობა რთულად მოხერხდა, საქართველოს ტყეს უზარმაზარი ზიანი მიადგა და აღდგენითი პროცესებიც არ დაწყებულა.

***– არც ერთი გადამწვარი ტყის აღდგენა არ დაწყებულა, არც – ბორჯომში, არც – აბასთუმანში და არც – სხვაგან?***

– მოგეხსენებათ, აბასთუმანი საკურორტო ზონაა და ფილტვების დაავადების სამკურნალოდაა კარგი, რადგან იქ არსებული წიწვოვანი ტყეები გარკვეულ პერიოდში გამოყოფენ ნაწილაკებს (მტვერს), რომელიც დადებითად მოქმედებს ადამიანის ბრონქებსა და ფილტვებზე. როდესაც წიწვოვანი ტყე ჩანაგდება, მისი ღირებულება კლებულობს.

უბედურება ისაა, რომ ხანძრის შემდეგ მისი აღდგენა, ფაქტობრივად, არ დაწყებულა და ნელ-ნელა წიწვოვნების ჩანაცვლება ბუნებრივად ფოთლოვანმა მცენარეებმა დაიწყო, რაც ძალიან ცუდი იყო. ახლა, ბიძინა ივანიშვილმა აბასთუმნის რეაბილიტაცია რომ დაიწყო, იქ ამ პროექტსაც ახორციელებს.

***– წიწვოვანი ტყის აღდგენის პროექტს ახორციელებს?***

– დიახ. ბორჯომში ომის დროს გაჩენილი ხანძრის შემდეგ, მისი აღდგენა არავის დაუწყია. „ოცნების“ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, აღდგენის პროცესი დაიწყო, მაგრამ შემდეგ იქ ძალიან ცუდი რამ მოხდა. დაახლოებით 100 ჰექტრამდე იყო აღდგენილი, ძალიან დიდი ფული დაიხარჯა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, გრანტებით და 2017 წელს ისევ ბორჯომში საშინელი ხანძარი გაჩნდა. ერთ-ერთი სერიოზული ხანძარი იყო. მაშინ ის აღდგენილი ტყე დაიწვა.

***– ციცაბო კლდეებზე, მიუვალ ადგილებზე ტყის საფარის აღდგენა როგორ ხერხდება?***

– საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ტყეების 97% ფერდობებზეა განლაგებული. აქედან ძალიან დიდი ნაწილი ციცაბო ფერდობებზეა, 40 გრადუსიანი დახრილობითაც კი.

ამიტომ ტყის ხანძრები განსაკუთრებით სახიფათოა. ჩაქრობაც ძალიან რთულია. ხანძრების დროს ტემპერატურა 1.000-დან 1.200-გრადუსამდეა. წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა, მეხანძრეები რამხელა გმირობას ჩადიან. ამიტომ ვერტმფრენების, სპეციალური თვითმფრინავების ყოლა აუცილებელია. 2003 წლიდან დაწყებული 762 ხანძარი იყო. ამ პერიოდში 8 ათასი ჰექტარია დამწვარი.

***– პრემიერმა განაცხადა, რომ სააკაშვილის ნაყიდი ძვირადღირებული ვერტმფრენი „სუპერ პუმა“ უნდა გაყიდონ. ერთი „სუპერ პუმას“ გაყიდვით 3 ვერტმფრენის ყიდვა ყოფილა შესაძლებელი.***

– ძალიან კარგი იდეაა, მაგრამ ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო. ხანძრები ყოველწლიურად ჩნდება. ოფიციალური სტატისტიკით, შარშან 44 ხანძარი იყო, 2020 წელს 118 ხანძარი.

***– ადრეც ამბობდნენ, რომ შეიძლება გახშირებული ხანძრები დივერსიის შედეგიაო. თუ გსმენიათ, ან გინახავთ გამოძიების შესაბამისი დასკვნა?***

– ერთადერთი, 2008 წელს ბორჯომის მოსახლეობა ამბობდა, რომ ომის დროს თითქოს ვიღაცები დააპატიმრეს ხანძრების მოწყობისთვის, მაგრამ არ ვიცი, რეალობაა თუ არა. ბორჯომის მოსახლეობას ჰქონდა ეჭვი, რომ ხანძარი ომის პარალელურად, დივერსანტების მიერ იყო გაჩენილი.

***– პარლამენტის წევრი იყავით და ინფორმაცია გექნებათ – ეს შეიძლება იყოს შიდა დივერსია თუ გარედან მოწყობილი?***

– თუ გამოვრიცხავთ დაუდევრობას (მაგალითად, ახლა ერთ-ერთი ხანძარი სიგარეტის გადაგდებით გაჩნდა), დანარჩენ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დივერსიული აქტებია.

***– როგორ ფიქრობთ, ახლა ბორჯომში ცეცხლი ბუნებრივად გაჩნდა?***

– ვერაფერს გეტყვით, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. საერთოდ, საქართველოში ასეთ ტერიტორიებზე ძალიან მნიშვნელოვანია. ბორჯომის ხეობა უნიკალურია. საერთაშორისო გრანტებით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი შეიქმნა. რამდენიმე წლის წინ, ბორჯომის ნაკრძალი შექმნეს, ეს უნიკალური ხეობაა. თან, პარალელურად, ბორჯომის ხეობის თავზე გადის ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი.

***– ნავთობსადენს საფრთხე შეექმნა?***

– ინფორმაცია გავრცელდა, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ის მონაკვეთი განსაკუთრებული დაცვის ქვეშ იყო, სადაც ამავე დროს საქაჩი სადგურია და დიდი საფრთხე ემუქრებოდა. წარმოიდგინეთ, ხანძარი იქამდე რომ მისულიყო, რა კატასტროფა დატრიალდებოდა. მის გარშემო გაკეთდა თხრილები და გარკვეული ღონისძიებები ჩატარდა.

აღნიშნული გარემოება შეიძლება იწვევდეს ეჭვს, რომ ბორჯომის ტყეში ხანძრის გაჩენა დივერსიული აქტი იყოს იმ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში, რომელშიც ახლა ჩვენ ვიმყოფებით.

მოგეხსენებათ, რუსეთი უკრაინასთან ომშია ჩართული. მთელმა დასავლეთმა – ევროკავშირმა, აშშ-მა და სხვა ქვეყნებმა რუსეთს გაზსა და ნავთობზე სანქციები დააწესეს. საქართველო ენერგორესურსების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დერეფანი ხდება. ყაზახეთმაც კი უარი თქვა თავისი ნავთობის ტრანზიტზე რუსეთის ტერიტორიით. მიმდინარეობს მოლაპარაკებები და არის წინადადებები, რომ საქართველოს ტერიტორიით ყაზახეთის ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირება დაიწყოს.

ევროპაში ყაზახეთის ნავთობის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული უნდა იყოს ბაქო-ჯეიჰანის მილსადენიც. ეს ყველაფერი ძალიან სერიოზულ ეჭვებს ბადებს. ამიტომ აუცილებელია ნავთობსადენის უსაფრთხოება დაცული იყოს. გარდა ამისა, ხანძრები ეკოსისტემას ანგრევს, ტერიტორიებს ანადგურებს. წარმოიდგინეთ, ცხოველთა სამყარო რა დღეში იქნება. არა მარტო ხეები, არამედ ბიომრავალფეროვნებაც ნადგურდება.

***– ცეცხლის დანახვაზე ცხოველები გაიქცეოდნენ.***

– მაგას ჰქვია საბინადრო გარემოს დანგრევა. ცხოველები ტერიტორიას ტოვებენ, სხვაგან გადადიან. მერე ეკოსისტემის აღდგენა რთული პროცესია. დაახლოებით 50 წელი სჭირდება, საბოლოო სახე რომ მიიღოს. 40-გრადუსიანი დახრილობის ციცაბო მთებზე ტყის საფარის აღდგენას დიდი შრომა და ხარჯი სჭირდება. ყველა შემთხვევაში, ხანძრები რომ ჩაქრება, აღდგენის პროცესი უნდა დაიწყოს, რადგან იქ ეროზიული პროცესები წავა, დახრილობებია, თოვლი და წვიმა მთელ ნიადაგს ჩარეცხავს და შემდეგ ტყის საფარის აღდგენა შეუძლებელი იქნება.

# როგორ ასხამენ პუტინის წისქვილზე წყალს რუსი ლიბერალები

## უკრაინელი ანალიტიკოსი: „პუტინის გადაწყვეტილება არმიის გაზრდის შესახებ ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების იმიტაციაა“

მარიამ მჭედლიშვილი

აგრესორი რუსეთი ჯარში ოფიციალურად საყოველთაო მობილიზაციას არ აცხადებს, თუმცა, პუტინის განკარგულებით, არმიის მოსამსახურეთა საშტატო რიცხოვნობა 137 ათასით გაიზარდა. უკრაინელი ექსპერტები ფიქრობენ, რომ რაოდენობა ხარისხს არ ნიშნავს და მოწინააღმდეგის გაზრდილი არმია მომავალშიც ვერ მიაღწევს შედეგს უკრაინაში. ბრიტანული დაზვერვის ცნობით, თავდაცვის მინისტრი ფაქტობრივად ჩამოშორებულია უკრაინის ფრონტის ხელმძღვანელობას.

### „დაშინებასა და სხვა ინსტრუმენტებს რუსეთი „დასავლეთთან ომის“ ფარგლებში სხვა ქვეყნებშიც გამოიყენებს“

უკრაინელი ანალიტიკოსის, ვლად შევჩუკის შეფასებით, არმიის რიცხოვნობის გაზრდა კრემლის დიქტატორს გადააწყვეტინა სრულმა ფიასკომ ე. წ. სპეცოპერაციაში.

### „რუსეთის არმიის ნაწილების, „როსგვარდიისა“ და ჩეჩენი „ტიკტოკერების“ უკრაინაში გადასროლა კრახით დამთავრდა. მათ მოქმედებებს რუსეთის შეიარაღებულ ძალებში 50 000-იანი მსხვერპლი მოჰყვა“

შევჩუკის თქმით, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაცია და გენშტაბი ეძებენ საოკუპაციო კონტინგენტის აღდგენის გზებს. კრემლმა უკრაინაში თავიდანვე გადაისროლა ბრძოლისუნარიანი არმიის ნაწილები, პოლიციელების ფორმირებები „როსგვარდიის“ სახით, ასევე „ტიკტოკერები“ ჩეჩნეთიდან (ავტორი გულისხმობს კადიროვის მიერ შექმნილ ბატალიონებს. ჩეჩნები უკრაინის მხარესაც იბრძვიან). ამის მიუხედავად, რუსეთის დანაკარგი 50 000 კაცამდეა.

– კრემლის დიქტატორი უკმაყოფილოა „სპეცოპერაციის“ ტემპით. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ესმით, რომ ამერიკელ და ევროპელ სამხედრო ანალიტიკოსებს უკვე გამოაქვთ დასკვნები რუსეთის არმიის „ბრძოლისუნარიანობის“ რეალურობაზე. რუსეთმა საყოველთაო მობილიზაციითაც რომ შეივსოს რეზერვი, ამგვარი „ლაშქარი“ უკეთესად ვერ იომებს. სერგეი შოიგუს მაინც მოუწევს თავის მართლება, მიზეზების მოგონება, თუ რატომ არის ისევ წარუმატებელი მათი ქმედებები. უკრაინის ჩრდილოეთი ტერიტორიების დატოვება შოიგუმ „კეთილი ნების“ ჟესტით ახსნა. ახლანდელი სტრატეგიული წარუმატებლობა დონბასის სრულად დაკავების პროცესში შოიგუმ „ჰუმანიტარული ნორმებით“ დაასაბუთა, – აღნიშნავს უკრაინელი ექსპერტი.



მისი შეფასებით, პუტინის განკარგულება რუსეთის არმიის გაზრდის შესახებ გამოიყურება, როგორც დამშვიდების მცდელობა და ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების იმიტაცია.

უკრაინელი პუბლიცისტი დენის სამიგინი ასკვნის, რომ უკრაინაში ომის დაწყების დღიდან აგრესორი რუსეთი აქტიურად იყენებს დეზინფორმაციისა და მოსახლეობის დაშინების ხერხებს. კრემლის ერთ-ერთი ბოლო სიყალბე უკავშირდება დუგინის შვილის მკვლელობას. ეს, მისი აზრით, ადასტურებს, რომ რუსეთის რეჟიმი უფრო რეაქციულ ფორმაში შედის.

სამიგინის სიტყვებით, „გენოციდისგან“ ადამიანების „დასახსნელად“ უკრაინაში შეჭრილი რუსეთი დაუზოგავად ხოცავს რუსულენოვან მოსახლეობასაც. ომის პირველი დღეებიდან რუსები ავრცელებენ ცრუ ნარატივს „ეს ჩვენ არ გვიქნია“.

პუბლიცისტის სიტყვებით, რუსების ერთ-ერთი საკვანძო ინსტრუმენტია მოსახლეობის დაშინება. აგვისტოში მათ სიუჟეტებს დაემატა კიდევ ერთი – ხალხის დარწმუნება იმაში, თითქოს უკრაინა ამზადებს ტერაქტს ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე. კრემლი მსოფლიოს პერიოდულად აშინებს ბირთვული კატასტროფით, ასევე, „მშიერი ბუნტებით“, რომლებიც მოხდება დასავლეთში ეკონომიკური პრობლემების გამო.

უკრაინელი კომენტატორი დარწმუნებულია, რომ დეზინფორმაციისა და დაშინების ინსტრუმენტებს რუსეთი „დასავლეთთან ომის ფარგლებში“ სხვა ქვეყნებშიც გამოიყენებს.

ჩვენი მხრივ, საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე ინსტრუმენტს კრემლი საქართველოში დიდი ხანია იყენებს. ამას ბოლო ხანს დაემატა მრავალფლანგიანი ანტიდასავლური კამპანია.

### პუტინს ირიბად მხარს უბამენ რუსი ლიბერალები?

რუსეთის პარტია „იაბლოკოს“ წარმომადგენელმა ლევ შლოსბერგმა ომიდან ნახევარი წლის გასვლის შემდეგ პარტიის სახელით მოითხოვა ომის შეწყვეტა. „იაბლოკოს“ გაახსენდა, რომ „ადამიანური სიცოცხლე უმაღლესი ფასეულობაა“.

იავლინსკის პარტიის მოწოდებებს სახიფათოდ მიიჩნევს რუსეთიდან დევნილი პოლიტიკოსი ალექსანდრ სკობოვი.

მისი განმარტებით, დღეს ცეცხლის შეწყვეტა ნიშნავს „ნაცისტური რუსეთის გამაგრებას უკვე მიტაცებულ ტერიტორიებზე“.

**ალექსანდრ სკობოვი:**

– არ არის აუცილებელი, იყო პროფესიონალი პოლიტიკოსი, რომ მიხვდე – თუ კრემლის ჰიტლერი ძალით დამკვიდრდა რომელიმე ტერიტორიაზე, ვერავითარი მოლაპარაკებები, ვერანაირი დიპლომატიური ძალისხმევა ვერ აიძულებს იქიდან წასვლას. ნებისმიერი გაყინული კონფლიქტი უეჭველად გამოიწვევს უკრაინისადმი დასავლეთის დახმარების შესუსტებას, დასავლეთში კაპიტულანტური და კომფორმისტული ელემენტების გაძლიერებას.

სკობოვის სიტყვებით, „იაბლოკოში“ ეს ყველაფერი ესმით. ლიბერალებმა ისიც უწყიან, რომ 80 წლის წინ ჩამოყალიბებული წესრიგი, რომელიც მსოფლიოს ომისგან იცავდა, დაშლილია.

სკობოვის თქმით, გავრცელებული ხმებით, ომში შესვენებას მოწყურებულმა პუტინმა დამუხტა იავლინსკი, რომ ის გამოვიდეს შუამავლად ცეცხლის შეწყვეტის საქმეში.

– ამ ჭორების უტყუარობაზე არაფრის თქმა არ შეიძლება. იავლინსკის თავისუფლად შეეძლო საკუთარი ინიციატივით ეკისრა ეს მისია. ეს მთლიანად შეესაბამება მის პოლიტიკურ ფილოსოფიას, – ამბობს პუტინის ოპონენტი.

მისივე დასკვნით, ბოროტების გაჩერება შესაძლებელია მხოლოდ ისე, როგორც ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს.

# ზეთი იაფდება



საქართველოში ზეთი იაფდება. როგორც „მზიურის“ („ოლეინას“ იმპორტიორი) სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, მათი კომპანიის შემთხვევაში, ჯერჯერობით, კლება 5-6%-იანი იქნება. თუმცა, დიმიტრი რამიშვილის თქმით, სავარაუდოდ, ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება, რადგან გარდა იმისა, რომ სექტემბრიდან, რუსეთი ზეთზე საექსპორტო გადასახადს ამცირებს, ოქტომბრიდან სხვა ბიუროკრატიული პროცედურები უქმდება. ამასთან, მისივე ინფორმაციით, საუბარია, საექსპორტო გადასახადის საერთოდ გაუქმებაზეც.

ცნობისთვის, 2022 წლის სექტემბრიდან რუსეთი მზესუმზირის ზეთზე საექსპორტო გადასახადს თითქმის 2-ჯერ, 15,987 რუბლიდან 8 621 რუბლამდე ამცირებს.

– რუსეთში საექსპორტო გადასახადის შემცირება თავისთავად აისახება ჩვენთან ფასებზეც. ჩემი კომპანიის შემთხვევაში, საშუალოდ, 5-6%-ით შემცირდება. თუმცა, ეს ტენდენცია გაგრძელდება.

ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ ჯერ ერთი, ახალი მოსავალი იქნება, გარდა ამისა, გარკვეული ბიუროკრატიული პროცედურები (ლიცენზიები და ა.შ.) ოქტომბრიდან აღარ იქნება. ამასთანავე, საუბარია იმაზეც, რომ ექსპორტის გადასახადი შესაძლოა, საერთოდ გაუქმდეს, – განაცხადა დიმიტრი რამიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთში მზესუმზირის ზეთის მცურავი საექსპორტო გადასახადის მექანიზმი 2021 წლის 1-ელი სექტემბრიდან მოქმედებს.

# 2022 წელს საქართველოს ეკონომიკა 8%-ით გაიზრდება




საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო S&P Global-ის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკა მიმდინარე წელს 8%-ით გაიზრდება, რაც წინა პროგნოზზე 4%-ით მეტია, ფისკალური და საგარეო მდგომარეობა კი გაძლიერდება, რასაც რუსეთიდან მიგრანტების მასობრივი შემოდინება და ტურიზმის სექტორის მნიშვნელოვანი აღდგენა განაპირობებს.

S&P ქვეყნის რეიტინგს BB/B-ზე ტოვებს, სამომავლო პროგნოზი კი სტაბილურია.

თუმცა რჩება ისეთი რისკები, როგორებიცაა რეგიონული უსაფრთხოება და გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მათ შორის, მომდევნო 12 თვის განმავლობაში სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკის შესაძლო შენელების გავლენა საქართველოზე.

სააგენტოს თანახმად, ქვეყანაში პრობლემად რჩება დაბალი შემოსავალი, ეკონომიკის იმპორტზე დამოკიდებულება და საგარეო ვალდებულებები, დოლარიზაციის მაღალი დონე კი მონეტარული პოლიტიკის მოქნილობას ასუსტებს.

S&P საქართველოს ინსტიტუციურ გარემოს დადებითად აფასებს რეგიონის ქვეყნებთან შედარებით, პოზიტიურადაა შეფასებული გაცვლითი კურსის მოქნილობაც, საბანკო რეგულაციები კი ეფექტურია და ძირითადად საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაშია.

2023 წლისთვის სააგენტო ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის 3%-მდე შენელებას მოელის, რაც საქართველოში მყოფი მიგრანტების ქვეყნიდან შესაძლო გასვლამ და მსოფლიო ეკონომიკის შენელებამ უნდა გამოიწვიოს.

# ქვეყნები, სადაც ყველაზე მეტ პროდუქტს ვყიდით და ვყიდულობთ



2022 წლის 7 თვეში საზღვაო გადაზიდვებით სავაჭრო ბრუნვა 820 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. კერძოდ, საქსტატის მონაცემებით, წელს, 7 თვეში სატრანსპორტო საშუალებებს შორის, წყლის ტრანსპორტით სავაჭრო ბრუნვამ 3,731 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში – 2,911 მლრდ აშშ დოლარი. საერთო ჯამში, საზღვაო გადაზიდვებზე საქართველოს მთლიანი საგარეო ვაჭრობის 36,6% მოდის. 2022 წლის 7 თვეში საგარეო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობამ 10,188 მლრდ დოლარი შეადგინა.

ამასთან, წელს 7 თვეში საზორნე გადაზიდვებით ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა 1,444 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, წინა წლის იგივე პერიოდში 1,081 მლრდ აშშ დოლარი.

რაც შეეხება იმპორტს, 2022 წლის იანვარ-ივლისში, საზღვაო გადაზიდვებით 2,287 მლრდ აშშ დოლარის პროდუქტი შემოვიდა, 2021 წლის 7 თვეში კი – 1,830 მლრდ აშშ დოლარის.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა იმ ქვეყნების ჩამონათვალით, სადაც ყველაზე მეტი (თანხის მოცულობით) საზორნე გადაზიდვები შესრულდა.

**ტოპ-10 ქვეყანა, სადაც 2022 წლის 7 თვეში საზღვაო ტრანსპორტით ყველაზე მეტი ტვირთი გავიდა:**

ჩინეთი – 449,537 მლნ აშშ დოლარი; ბულგარეთი – 226,574 მლნ აშშ დოლარი; აშშ – 184,773 მლნ აშშ დოლარი; უკრაინა – 108,903 მლნ აშშ დოლარი; პერუ – 103,340 მლნ აშშ დოლარი; რუსეთი – 64,201 მლნ აშშ დოლარი; ესპანეთი – 24,301 მლნ აშშ დოლარი; ინდოეთი – 22,785 მლნ აშშ დოლარი; იტალია – 20,772 მლნ აშშ დოლარი; რუმინეთი – 19,359 მლნ აშშ დოლარი

**ტოპ-10 ქვეყანა, საიდანაც 2022 წლის 7 თვეში საზღვაო ტრანსპორტით ყველაზე მეტი ტვირთი შემოვიდა:**

აშშ – 449,364 მლნ აშშ დოლარი; ჩინეთი – 360,018 მლნ აშშ დოლარი; რუმინეთი – 165,652 მლნ აშშ დოლარი; იაპონია – 137,573 მლნ აშშ დოლარი; ბულგარეთი – 104,391 მლნ აშშ დოლარი; ბრაზილია – 97,220 მლნ აშშ დოლარი; ჩილე – 92,251 მლნ აშშ დოლარი; რუსეთი – 85,002 მლნ აშშ დოლარი; უკრაინა – 67,814 მლნ აშშ დოლარი; ინდონეზია – 64,942 მლნ აშშ დოლარი

# რატომ განახევრდა ზეთის იმპორტი



წელს 7 თვეში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში ზეთის იმპორტი განახევრდა. როგორც კომპანია „მზიურის“ („ოლეინას“ იმპორტიორი) სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა დიმიტრი რამიშვილმა „ბიზნესპრესნიუსთან“ განაცხადა, ე.წ. No name კომპანიებს პროდუქტი ველარ შემოაქვთ, რადგან რუსეთში პატარა ქარხნები დაიხურა, რაც სტატისტიკაზეც შესაბამისად აისახა.

ცნობისთვის, საქსტატის მონაცემებით, თუ 2021 წლის 7 თვეში ქვეყანამ 20.581 ტონა (30,359 მლნ დოლარის ღირებულების) ზეთი იყიდა, წელს ანალოგიურ პერიოდში იმპორტირებული პროდუქტის მოცულობამ 9.253 ტონა (17,677 მლნ დოლარი) შეადგინა.

წელსაც, შარშანდელის ანალოგიურად საქართველოში ყველაზე დიდი მოცულობით ზეთის იმპორტი რუსეთიდან განხორციელდა, მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი, ხუთეულში შედიან უკრაინა, ყაზახეთი და თურქეთი.

– მსხვილი იმპორტიორები, როგორებიც ვართ ჩვენ, ვისაც ცნობადი ბრენდები შემოგვაქვს, დავრჩით და ჩვეულ რეჟიმში ვაგრძელებთ მუშაობას. შესაბამისად, ის მოცულობები, რაც შემოგვქონდა (მცირედი, მეტ-ნაკლებობით), ისევ შემოგვაქვს. რაც შეეხება იმ ნაწილს, რომელიც ბაზარზე იმპორტის დიდი მოცულობას ქმნიდა, ეს არის ე.წ. გაუგებარი წარმოშობის კომპანიები, შედარებით დაბალი ხარისხის ზეთები, ვისაც შემოჰქონდა, სწორედ მათ მწარმოებლებს და შემომტანებს შეექმნათ პრობლემა. ანუ. ე.წ. No name კომპანიებს ველარ შემოაქვთ პროდუქტი.

ამის მიზეზია ის, რომ ქარხნები გაჩერდა. ფასმაც იქონია გავლენა, თუმცა, ამაზეც არ არის საუბარი, ფიზიკურად გაჩერდნენ ასეთი პატარა ქარხნები რუსეთში. შესაბამისად, საქართველოშიც ველარ შემოდის, – განაცხადა დიმიტრი რამიშვილმა.

# 1 აშშ დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.9045 ლარი გახდა



ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, დღევანდელი ვაჭრობის შედეგად 1 აშშ დოლარის ღირებულება 2.9045 ლარი გახდა. კურსი, რომელიც დღეს მოქმედებდა, 2.8607 ლარი იყო. შესაბამისად, დოლარის ცვლილებამ ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში 0.0438 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება ევროს, მისი კურსი 2.9126 ლარია. მაშინ, როცა დღეს მოქმედი კურსი 2.8584 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ევროს ცვლილებამ 0.0542 ლარი შეადგინა.

# ბიძინა კულუმბეგოვი: „შესაძლოა, საქართველოში ყოველდღიურად კორონავირუსის 6.000-დან 20.000-მდე ახალი შემთხვევა ცირკულირებდეს“



ალერგოლოგ-იმუნოლოგი ბიძინა კულუმბეგოვი საქართველოში არსებული ეპიდვითარების შესახებ საუბრობს და ამბობს, რომ ბოლო 2 კვირის მონაცემებით, გვაქვს 17%-იანი კოვიდდადებითობის მაჩვენებელი, რაც უპრეცედენტოდ მაღალია.

კულუმბეგოვი მოსახლეობას მოუწოდებს, რომ ტესტირება ჩაიტარონ.

– თუ შევხედავთ ჯანმრთელობის გაზომვათა ინსტიტუტის მონაცემებს, ჩვენი ტიპის დადებითობის მაჩვენებლის, ჩატარებული ტესტირების რაოდენობითა და სხვა მონაცემებით, შესაძლოა, ჩვენს ქვეყანაში ყოველდღიურად 6 000-დან 20. 000-მდე ახალი შემთხვევა ცირკულირებდეს. სასურველია ტესტირების მაჩვენებელი იყოს უფრო მეტი, რასაც აქვს პირდაპირი კლინიკური ღირებულებითი მნიშვნელობა. ქვეყანას პიკური გავრცელება გადავლილი აქვს, ჩვენ ახლა ვართ გავრცელების იმ მასშტაბზე, სადაც არის პლატო და შეიძლება შენარჩუნდეს სექტემბერ-ოქტომბრის პირველ ნახევრამდე. დრამატული მატება შემდგომი 4-6 კვირა არ გვექნება, მაგრამ გამოვლენა და ტესტირება არის ძალიან მნიშვნელოვანი, – აღნიშნა ბიძინა კულუმბეგოვმა.

მისი შეფასებით, მზაობა კლინიკების მობილიზაციის კუთხით შემოდგომისთვის კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, ასევე სასურველია, შემოდგომის პერიოდში მოსახლეობას პირბადის ტარება მოუწოდონ.

– პირადად მე, წინა 2 კვირის განმავლობაში ვერ მოვახერხე ორი ადამიანის სტაციონარში განთავსება, რაც ასევე არის პრობლემა. ამ თვალსაზრისით, მზაობა კლინიკების მობილიზაციის კუთხით, შემოდგომისთვის კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს. სასურველია, შემოდგომის პერიოდში მოსახლეობას მოვუწოდოთ პირბადის ტარება, ვისაც ეს შეუძლია და ჯანმრთელობის პრობლემას არ უქმნის, – აღნიშნა ბიძინა კულუმბეგოვმა.

ცნობისთვის, ერთი კვირის მონაცემებით, ქვეყანაში კორონავირუსის 13.737 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, კორონავირუსისგან 14.486 ადამიანი გამოჯანმრთელდა, გარდაიცვალა სამი პაციენტი.

# საქართველოში რეგისტრირებული 544 რუსული კომპანიიდან მხოლოდ 2-ის საქმიანობის სფეროა ცნობილი




საქართველოში 1-ელი მარტიდან 1-ელ აგვისტომდე 7459 რუსული ბიზნესი დარეგისტრირდა. შესაბამისი ინფორმაცია „ინტერპრესნიუსმა“ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოითხოვა.

როგორც სააგენტოს „საქსტატიდან“ აცნობეს, დარეგისტრირებული რუსული ბიზნესიდან 544 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), 6913 ინდივიდუალური მეწარმე, ხოლო 2 უცხოური საწარმოს ფილიალია.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საქართველოში დარეგისტრირებული 544 რუსული შპს-დან 542-ს საქმიანობა უცნობია, 1 კომპანიის საქმიანობის სფერო ყავის გადამუშავება, კიდევ 1-ის კი რესტორნების გარეშე სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებებია.

რაც შეეხება საქართველოში რეგისტრირებულ 6913 რუს ინდივიდუალურ მეწარმეს, ამ შემთხვევაშიც ცნობილია მხოლოდ 2-ის საქმიანობა, 6911-ის საქმიანობის სფერო კი, „საქსტატის“ ცნობით, მათთვის უცნობია.

ამასთან, „ინტერპრესნიუსის“ მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, საქართველოში ყველაზე მეტი რუსული ბიზნესი – კერძოდ, 2169 მარტში დარეგისტრირდა. კერძოდ, მიმდინარე წლის მარტში საქართველოში რეგისტრაცია გაიარა 147-მა რუსულმა შპს-მ, 2021-მა ინდივიდუალურმა მეწარმემ და ერთმა უცხოური საწარმოს ფილიალმა.

აპრილის თვეში 1601 რუსული ბიზნესი დარეგისტრირდა, მაისში 1370, ივნისში – 1219 და ივლისში – 1100.

# ისტორიაში პირველად, ადამიანს COVID-19, მაიმუნის ყვავილი და შიდსი ერთდროულად დაუდგინდა



ისტორიაში პირველად, ადამიანს COVID-19, მაიმუნის ყვავილი და შიდსი ერთდროულად დაუდგინდა. სამედიცინო ჟურნალი Journal of Infection-ი წერს, რომ ისტორიაში პირველად, ადამიანს ერთდროულად დაუდგინდა COVID-19, მაიმუნის ყვავილი და შიდსი.

ინფიცირებული პაციენტი 36 წლის იტალიელია, რომელიც 16-20 ივნისს ესპანეთში ისვენებდა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი დაეწყო ყელის ტკივილი, დაუფიქსირდა მაღალი ტემპერატურა, რის შემდეგაც კაცმა ქალაქ კატანიას საავადმყოფოს მიმართა.

თავდაპირველად მას კორონავირუსი დაუდასტურდა, ამის შემდეგ კი გამონაყარი და წყლულები გაუჩნდა. აივ-ინფექციაზე და მაიმუნის ყვავილზე ჩატარებულმა ანალიზებმა დადებითი პასუხი აჩვენა. ექიმების განცხადებით, მამაკაცს ესპანეთში ყოფნისას, დაუცველი სქესობრივი კონტაქტი ჰქონდა.

# რა კითხვები დაუსვეს საგამოძიებო სამსახურში გოგაშვილის ვაჟს



„საქმე თავიდან ბოლომდე შეთითხნილია და ამას სტრასბურგში დავამტკიცებთ“ – ამის შესახებ სუსის ყოფილი მაღალჩინოსნის, სოსო გოგაშვილის შვილი სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოკითხვის შემდეგ საუბრობს. ამბობს, რომ უწყებაში ჩვენება მისცა მამამისის დაკავებასა და ოჯახის წევრების ციხეში შესვლაზე.

– კითხვები იყო სტანდარტული, ანუ როგორ მოხდა, როგორ ჩატარდა ეს ულირსი სპეცოპერაცია ჩვენთან სახლში. რა დარღვევები იყო, რა იკადრეს, რეები გააკეთეს და ასევე, რა დღეს მომიწია მე ციხეში შესვლა მამაჩემთან, როგორ შევედით... მოლოდინი, რომ არ მოგატყუოთ, არ მაქვს იმის, რომ ობიექტურად წავა გამოძიება და საქართველოში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური რეალურად გამოიძიებს რამეს. ეს მაინც დამოკიდებულია, ზემოდან რა დავალება ექნება.

რაც არ უნდა გამომძიებელმა მოინდომოს და ვთქვათ, ნებისმიერმა თანამშრომელმა, რომ ობიექტურად წაიყვანოს, კეთილი ნება თუ არ იქნება, ეს გამორიცხულია. ეს ყველაფერი არის შეთითხნილი საქმე თავიდან ბოლომდე, რასაც ჩვენ სტრასბურგში დავამტკიცებთ, – ამბობს ნიკა გოგაშვილი.

# საბერძნეთში ორი ქართველი მამაკაცი დაიჭირეს



საბერძნეთში, აღმოსავლეთ თესალონიკში, კალამარიას რაიონში ორი ქართველი, 28 და 30 წლის კაცები ბინის ძარცვის დროს დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას ბერძნული მედია ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, მძარცველებმა ჩაამტვრიეს ცენტრალური სადარბაზოს საკეტები და სხვის საკუთრებაში უკანონოდ შეაღწიეს.

ბრალდებულებმა ბინიდან 120 ევრო და ძვირფასეულობა წაიღეს. გარდა ამისა, შენობის სახურავზე ნაპოვნი და ამოღებულია ჩანთა ძარცვის იარაღებით.

28 წლის ახალგაზრდამ დაკავებისას ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია სამართალდამცველებს და პოლიციელებს ფიზიკურად გაუსწორდა. სტატიაში ნათქვამია, რომ 30 წლის კაცს ქვეყანაში ყოფნის ვადები ჰქონდა დარღვეული.

# პროკურატურამ ვანში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა



საქართველოს პროკურატურამ ვანში მომხდარ განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 28 აგვისტოს, ქ. ვანში, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკების დროს დ.ჩ.-ს დანით ჭრილობები მიაყენა. მიღებული დაზიანებების შედეგად, დაზარალებული საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

– სამართალდამცველებმა ბრალდებული 29 აგვისტოს დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# სოსო გოგაშვილის დაცვის უფროსს, ალექსანდრე სამხარაძეს, ბრალდება წარუდგინეს



სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის დაცვის უფროსს, ალექსანდრე სამხარაძეს, საბრძოლო მასალის უკანონო შენახვის მუხლით ბრალდება წარუდგინეს.

მისი უფლებადამცველის, რამაზ ჩინჩალაძის განცხადებით, საქმე ეხება მის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ვაზნებს.

– ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მესამე ნაწილით წაუყენეს, რაც საბრძოლო მასალის უკანონო შენახვას გულისხმობს. ის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი იყო, საშტატო იარაღი ჰქონდა. როდესაც თანამდებობა დატოვა, იარაღი ჩააბარა, ხოლო ტყვიების ჩაბარება დაავიწყდა და ამან მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა გამოიწვია. 16 ივნისს, როდესაც მისი საცხოვრებელი სახლი გაჩხრიკეს, ეს ტყვიები აღმოაჩინეს და ბრალი დღეს წაუყენეს, – განაცხადა რამაზ ჩინჩალაძემ.

ადვოკატის თქმით, ალექსანდრე სამხარაძის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე სასამართლო, სავარაუდოდ, ხვალ იმსჯელებს. ის სასამართლოზე ალექსანდრე სამხარაძის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას მოითხოვს.

– დაკავების საფუძველი არ იყო და არ დაუკავებიათ. ბრალი წაუყენეს და გამოუშვეს. სავარაუდოდ, ხვალ გაიმართება ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე და მე ვფიქრობ, რომ მის მიმართ პატიმრობა არ იქნება გამოყენებული. მე გირაოს შეფარდებასაც არ მოვითხოვ. გირაოს არ დავეთანხმები, რადგან მისი მხრიდან მიმალვის საფრთხე, მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე, მტკიცებულებების განადგურების საფრთხე არ არსებობს და ამიტომ აღკვეთის არც ერთი ღონისძიება არ უნდა იქნას გამოყენებული, – განაცხადა ადვოკატმა.

სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის დაცვის უფროსის, ალექსანდრე სამხარაძის განცხადებით, ის შესაძლოა, გოგაშვილის ოჯახის ჩამოსაშორებლად დააკავონ.

როგორც სუს-ის გენინსპექციიდან გამოსვლის შემდეგ სამხარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მას საბრძოლო მასალის უკანონო შენახვას ედავებიან.

– გამოვედი ბრალდებულის სტატუსით, ოფიციალურად წამიყენეს ბრალი, დანარჩენს უკვე პროკურატურა და სასამართლო დაადგენს. საბრძოლო მასალების უკანონო შენახვაზეა საუბარი. ყველამ იცის, რომ 2014 წლიდან ბატონი იოსების გვერდით ვარ, 24 საათი მისი ოჯახის გვერდით ვარ, ყველაფერს გააკეთებენ, შეიძლება ოჯახს ჩამომაშორონ და დამაკავონ, – აცხადებს სამხარაძე.

სასამართლო მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე, სავარაუდოდ, დღეს იმსჯელებს.

# ადვოკატი: ძმები კაკულიები წარდგენილ ბრალს არ აღიარებენ




ძმები კაკულიები წარდგენილ ბრალს არ აღიარებენ. ბრალდება მკვლელობის მცდელობის ნაწილში არის სრულიად აბსურდული, რასაც კიდევ ერთხელ დავადასტურებთ სასამართლო პროცესებზე, – ამის შესახებ არაყიშვილის ქუჩაზე, სერგი ქურთიაშვილის ჯგუფურად მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ დათა კაკულიას ადვოკატმა გიორგი ანთაძემ განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, აღნიშნულ საქმეზე დაიკითხება ბინის მეპატრონე, რომლის თვალწინაც ჩხრეკა ჩატარდა და მტკიცებულებების გამოკვლევით დადასტურდება, რომ ძმებ კაკულიებს არანაირი იარაღი არ ჰქონიათ შეძენილი.

– სასამართლომ დასაშვებად ცნო როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარის მტკიცებულებები. დაცვის მხარე ითხოვდა გარკვეული მტკიცებულებების ამორიცხვას, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული, თუმცა აღნიშნული მტკიცებულებები გამოკვლეული იქნება საქმის არსებითი განხილვის დროს და დარწმუნებული ვარ, რომ მოსამართლე აღნიშნულ მტკიცებულებებს არ გაიზიარებს.

ძმები კაკულიები წარდგენილ ბრალს არ აღიარებენ. ბრალდება მკვლელობის მცდელობის ნაწილში არის სრულიად აბსურდული, რასაც კიდევ ერთხელ დავადასტურებთ პროცესზე. პროკურატურას ხელჩასაჭიდი არაფერი აქვს გარდა ერთი მოწმისა, რომელსაც ჩაფხუტში შეეძლო ერთ-ერთი ბრალდებულის ამოცნობა. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს მათ მიერ ბრალად შერაცხულ ქმედებას, – აღნიშნა გიორგი ანთაძემ.

რაც შეეხება ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის საქმესთან ძმები კაკულიების შემხებლობას, ადვოკატის განმარტებით, როგორც კაკულიების ოჯახის, ასევე თავად ბრალდებულების პოზიციაა, რომ „აბსურდზე კომენტარის გაკეთებას აღარ აპირებენ“.

– კვარაცხელიას საქმესთან დაკავშირებით როგორც კაკულიების ოჯახის, ასევე თავად ბრალდებულების პოზიციაა, რომ ამ საკითხზე ბოლოჯერ იქნება კომენტარი. ისინი აბსურდზე აღარ აპირებენ კომენტარის გაკეთებას. რა შეკითხვებიც ჰქონდა გამოძიებას, ყველას პირნათლად უპასუხეს. მკვლელობის დროს არ იმყოფებოდნენ საქართველოში, რაც თავად ბრალდებულების განმარტებით მტკიცდება, – აღნიშნა გიორგი ანთაძემ.

# რუსთავში 40 წლამდე მამაკაცი დაჭრეს




რუსთავში, სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე, 40 წლამდე კაცი დაჭრეს. შემთხვევა 28 აგვისტოს მოხდა.

არსებული ინფორმაციით, ორ 40 წლამდე კაცს შორის დაწყებული სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკური ანგარიშსწორებით დასრულდა. დაშავებულს ჭრილობები, სავარაუდოდ, ცივი იარაღით აქვს მიყენებული.

ის სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანა. როგორც სამედიცინო დაწესებულებაში „მთავარ არხს“ განუცხადეს, დაჭრილი ამ დრომდე რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება.

საზოგადოება

# ევროკავშირი უკრაინას მოქალაქეების რადიაციული ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით კალიუმის იოდიდის 5 მილიონ ტაბლეტს გადასცემს

ევროკავშირი უკრაინას კალიუმის იოდიდის 5.5 მილიონ ტაბლეტს გადასცემს, რათა ქვეყანაში ადამიანები პოტენციური რადიაციული ზემოქმედებისაგან დაიცვას, – ინფორმაციას CNN-ი ავრცელებს.

ტელეკომპანიის ცნობით, ევროკომისიაში აცხადებენ, რომ ტაბლეტები უკრაინის მთავრობამ ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის გარშემო „დაცვის დონის გაზრდის“ მიზნით მოითხოვა.

– არც ერთი ატომური ელექტროსადგური არ უნდა იქნას გამოყენებული ომის თეატრად. მიუღებელია ის, რომ სამოქალაქო პირების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის ირგვლივ ყველა სამხედრო მოქმედება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, – განაცხადა ევროკომისარმა კრიზისების მართვის საკითხებში ჯანეზ ლენარჩიჩმა.

# რუსეთმა ლატვია, ლიეტუვა და ესტონეთი რუსულენოვანი უმცირესობების დევნაში დაადანაშაულა

რუსეთმა დაგმო ბალტიისპირეთის სამ ქვეყანაში საბჭოთა მემორიალების განადგურება და აღნიშნული სახელმწიფოები რუსულენოვანი უმცირესობების დევნაში დაადანაშაულა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ლატვიას, ლიეტუვას და ესტონეთს ქსენოფობიაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ისინი თავიანთ ეთნიკურ რუს უმცირესობებს, როგორც „მეორე კლასის მოქალაქეებს“, ისე ექცევიან.

ლავროვის უწყების განცხადებით, ბალტიისპირეთის ქვეყნებში რუსულენოვანი მედია, საბავშვო ბაღები და სკოლები იხურება, ასეთი „რუსოფობიური მიდგომები“ კი „უდავოდ, ამ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების მდგომარეობაზე იმოქმედებს, რომლებიც უკვე სრულად გაუარესებულია“.

# 3 სექტემბრამდე საქართველოში ჰაერის ტემპერატურამ შესაძლოა, 40 გრადუსს მიაღწიოს



3 სექტემბრამდე საქართველოში შენარჩუნებული იქნება ცხელი და უმეტესად უნალექო ამინდი. ჰაერის ტემპერატურამ დაბლობში, ბარში და მთიანი რეგიონების ცალკეულ რაიონში შესაძლოა 38, 40 გრადუსს მიაღწიოს.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, არსებული და მოსალოდნელი ჰაერის მაღალი ტემპერატურა და გამომშრალი ნიადაგი კვლავ რჩება ხანძრის გაჩენის ხელშემწყობ პირობად.

# 32.100-ზე მეტი აბიტურიენტი სტუდენტი გახდა




NAEC-ის დირექტორის, სოფიო გორგოძის განცხადებით, 2022 წელს სწავლის გაგრძელების უფლება სულ 32 100-ზე მეტმა აბიტურიენტმა მოიპოვა. მათგან სახელმწიფო გრანტი 6550-მდე გამოსაცდელმა მოიპოვა, მათ შორის 1000-ზე მეტმა აბიტურიენტმა 100%-იანი გრანტი, 1500-მდე აბიტურიენტმა 70%-იანი, 50%-იანი გრანტი კი – 4000-ზე მეტმა აბიტურიენტმა მოიპოვა.

2022 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში 41.000-ზე მეტი აბიტურიენტი მონაწილეობდა.

## პაპმა ფრანცისკემ რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებული ფართომასშტაბიანი ომი დაგმო



პაპმა ფრანცისკემ დღეს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში წამოწყებული ფართომასშტაბიანი ომი დაგმო და კონფლიქტს „მორალურად უსამართლო, მიუღებელი, ბარბაროსული, უაზრო, საზიზღარი და მკრეხელური“ უწოდა.

ვატიკანის განცხადებით, რომის პაპი საუბრობს როგორც მოძღვარი, რომელიც იცავს ყველა ადამიანის სიცოცხლეს და არა როგორც პოლიტიკოსი.

წმინდა საყდარი ამ განცხადებით ერთი კვირის წინ, პაპი ფრანცისკეს მიერ რუსი პროპაგანდისტისა და იდეოლოგის, ალექსეი დუგინის ქალიშვილის, დარია დუგინას მკვლელობასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარს გამოეხმაურა, რა დროსაც პონტიფიკოსმა მას „ომის უდანაშაულო მსხვერპლი“ უწოდა. კათოლიკური ეკლესიის მეთაურის აღნიშნულმა სიტყვებმა უკრაინაში მწვავე რეაქცია გამოიწვია.

## ФСБ-ს ანგარიშების გაცნობის შემდეგ, პუტინი ცუდად გახდა და ექიმები გამოიძახეს

რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი განრისხებულია უკრაინის მიერ კონტრშეტევის დაწყების გამო, „ზედმეტად ნერვიულობს“, რაც მის ჯანმრთელობაზეც აისახება, – ამის შესახებ ინფორმაციას Generall SVR ტელეგრამზე არხზე ავრცელებს.

არხის ცნობით, 29 აგვისტოს პუტინმა 4 ოპერატიული შეხვედრა გამართა სამხედრო ბლოკის ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან, სადაც დეტალურად განიხილეს უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტრშეტევის თემა ხერსონის რეგიონში.



არსებული ინფორმაციით პუტინი ФСБ-სა და სამხედროების ანგარიშებს გაეცნო, რამაც გააბრაზა, სამუშაო დღის ბოლოს კი მასთან ექიმების ჯგუფი გამოიძახეს. ექიმებმა რუს დიქტატორთან დაახლოებით 20 წუთი გაატარეს.

– პრეზიდენტის შეხვედრებზე ატმოსფერო ბოლო დროს ყველაზე დაძაბული იყო. გვიან საღამოს პუტინთან მორიგე ექიმები გამოიძახეს, რომელმაც პრეზიდენტთან დაახლოებით ოცი წუთი გაატარა. პრეზიდენტის გარემოცვამ შეამჩნია, რომ ბოლო დროს პუტინი „ზედმეტად ნერვიულობს“ და ეს უარყოფითად მოქმედებს როგორც მის ახლობლებზე, ასევე გარემოზე, – წერს არხი.

ცნობისთვის, მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პუტინს, სავარაუდოდ, სამედიცინო დახმარება სჭირდებოდა, უჩიოდა მძიმე გულისრევას. მასთან გამოიძახეს ექიმთა დამატებითი ჯგუფი, რომლებიც მასთან სამი საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

## ბორელი: „გავაგრძელებთ როგორც სამხედრო, ასევე ფინანსურ დახმარებას“

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის სფეროში, ჟოზეფ ბორელი ამბობს, რომ ევროკავშირი უკრაინული არმიისთვის დამატებითი სამხედრო წვრთნების ჩატარებას გეგმავს.

ბორელმა განცხადება პრაღაში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის წინ გააკეთა.

– დღევანდელი შეხვედრის მთავარი თემა უკრაინაში არსებული ვითარება იქნება, სამწუხაროდ, გაუმჯობესება არ გვაქვს, რუსეთი აგრძელებს მშვიდობიანი მოქალაქეების დაბომბვას, სამხედრო ტყვეების დისკრიმინაციას, ატომური ბომბით და ატომური ენერგოსადგურით მანიპულაციას, ვითარება ძალიან რთულია. უკრაინას ჩვენი დახმარება და მხარდაჭერა სჭირდება. ჩვენ გავაგრძელებთ როგორც სამხედრო, ასევე ფინანსურ დახმარებას. დღეს უკრაინის თავდაცვის მინისტრი შემოგვიერთდება, რაც მნიშვნელოვანია. უკრაინული არმიისთვის დამატებითი სამხედრო წვრთნების ჩატარებას ვგეგმავთ, რაც ამ არმიას კიდევ უფრო ძლიერს და თავდაცვისუნარიანს გახდის, – თქვა ჟოზეფ ბორელმა.

პრაღაში ევროკავშირის ქვეყნების თავდაცვის მინისტრების არაფორმალური შეხვედრა მიმდინარეობს. მთავარი საკითხი უკრაინაში მიმდინარე ომი და რუსეთის შეკავების ახალი მექანიზმების შემუშავებაა. თავდაცვის მინისტრები განიხილავენ იმ სამხედრო



დახმარების პაკეტს, რომელსაც უკრაინას გადასცემენ.

დაგეგმილია ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაც, სადაც მთავარი განსახილველი საკითხი რუსეთის მოქალაქეებისთვის შენგენის ვიზების გაცემაზე დამატებითი შეზღუდვების შემუშავებაა.

## საფრანგეთი: რუსეთი გაზს იყენებს, როგორც ომის იარაღს



რუსული კომპანია „გაზპრომი“ დღეიდან საფრანგეთის ბუნებრივი აირის უმსხვილეს ოპერატორს Engie-ს, კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული უთანხმოებების გამო, გაზის მიწოდებას შეუმცირებს, – ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, უკრაინაში რუსეთი ომის დაწყების დროიდან, „გაზპრომმა“ უკვე მნიშვნელოვნად შეამცირა ფრანგული კომპანიისთვის გაზის მიწოდება, რომელიც მიმდინარე თვეში საათში 1.5 ტერავატია, მაშინ როცა, 2021 წელს 121 ტერავატს აღწევდა.

– აშკარაა, რომ რუსეთი იყენებს გაზს, როგორც ომის იარაღს და ჩვენ უნდა მოვემზადოთ მიწოდების სრული შეწყვეტის ყველაზე უარესი სცენარისთვის, – განაცხადა საფრანგეთის მინისტრმა ენერგეტიკის საკითხებში აგნეს პანიერრუნაჩერმა.

## საფრანგეთი და გერმანია რუსი ტურისტებისთვის ვიზების გაცემის შეწყვეტას ეწინააღმდეგებიან

ევროკავშირმა რუს ტურისტებს ბლოკის ტერიტორიაზე შესვლა არ უნდა აუკრძალოს, – Reuters-ის ინფორმაციით, ამის შესახებ გერმანიისა და საფრანგეთის ერთობლივ განცხადებაშია აღნიშნული.

– ჩვენი სავიზო პოლიტიკა უნდა აგრძელებდეს ევროკავშირში ხალხთა შორის კონტაქტების არსებობას რუსეთის მოქალაქეებთან, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი რუსეთის ხელისუფლებასთან, – ნათქვამია დოკუმენტში, რომლის შინაარსიც Reuters-ისთვის გახდა ცნობილი.

შეგახსენებთ, პრაღაში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა მიმდინარეობს, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო აკრძალვის დაწესებაც განიხილება.

### კალეიდოსკოპი

## ათი წლის ბიჭმა დედა აუზში დახრჩობას გადაარჩინა

ამერიკის ოკლაჰომას შტატში მცხოვრებმა ათი წლის გევინ კინმა დედა აუზიდან ამოიყვანა და წყალში დახრჩობას გადაარჩინა.

ბიჭის დედის ლორა კინის თქმით, მას სახლის უკანა ეზოში მდებარე აუზში ცურვის დროს ეპილეფსიის შეტევა დაეწყო. იმ დროისთვის გევინი უკვე ამოსული იყო წყლიდან და სახლის უკანა შესასვლელთან იჯდა.

ბიჭმა გაიგონა წყლის დგაფუნის ხმა და მაშინვე მიხვდა, რომ დედა იხრჩობოდა. გევინი აუზში გადახტა, დედა წყლიდან ამოიყვანა და კიბემდე მიიყვანა, სადაც ერთ წუთზე მეტი ხნის მანძილზე თავდახრილი ეჭირა, სანამ პაპა არ მიეხმარა.

– გევინი უპირობოდ ჩემი გმირია. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ის ჩემი მფარველი ანგელოზია, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ქალმა, რომელიც თავისი შვილის უზომოდ მადლიერია.

მოგვიანებით ადგილობრივ პოლიციაში ათი წლის ბიჭს საზეიმო ვითარებაში გადასცეს სიგელი დედის გადარჩენისთვის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ქალმა მეგობარ მამაკაცს სასქესო ორგანო მოაჭრა

ინდოეთში ქალმა თავის მეგობარ მამაკაცს იმ დროს შეუსწრო, როდესაც ის მის ქალიშვილზე ძალადობდა და სასქესო ორგანოები მოაჭრა.

აღნიშნული ინციდენტი უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ ლაკხიმპურის გარეუბანში მოხდა. სანამ ქალი ფერმაში მუშაობდა, მამაკაცი, რომელიც მასთან ორი წელი ცხოვრობდა, მისი 14 წლის გოგონას გაუპატიურებას შეეცადა.

– საბედნიეროდ დროულად დავბრუნდი სახლში და მას ფაქტზე წავასწარი, – იხსენებს ქალი, – ის მეც კი დამესხა თავს, როდესაც შვილის გადარჩენას შევეცადე.

ქალის თქმით, ის ამის შემდეგ შევარდა სამზარეულოში, აიღო სამზარეულო დანა და მამაკაცს სასქესო ორგანოები მოაჭრა. მან ასევე აღნიშნა, რომ თავის საქციელს არ ნანობს.

კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი საავადმყოფოში აღმოჩნდა. როგორც ადგილობრივ პოლიციაში განაცხადეს, მასზე საქმე იქნა აღძრული გაუპატიურების ბრალდებით. ინფორმაცია იმის თაობაზე, ქალი მიეცემა თუ არა პასუხისგებაში, არ ვრცელდება.

### სპორტი

## ქართული რაგბის ხელმძღვანელობა საფრანგეთში საქმიან შეხვედრებს მართავს



საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლობითი დელეგაცია საფრანგეთში საქმიანი ვიზიტით იმყოფება.

დელეგაციაში არიან რაგბის კავშირის პრეზიდენტი იოსებ ტყემალაძე, აღმასრულებელი დირექტორი თორნიკე გოგებაშვილი, სასწავლო ცენტრის დირექტორი გიორგი ჭუმბურიძე, რაგბის კავშირის პრეზიდენტის მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობებში ლევან ღვაბერიძე, ბორჯღალოსნების ყოფილი მთავარი მწვრთნელი და პრეზიდენტის მრჩეველი კლოდ სორელი, ბორჯღალოსნების ამჟამინდელი თავკაცი ლევან მაისაშვილი, 7-კაცას მწვრთნელი და ბავშვთა რაგბის განვითარების ხელმძღვანელი, ვეტერანი ბორჯღალოსანი გია ლაბაძე.

საფრანგეთის რაგბის ფედერაციის პრეზიდენტთან, მსოფლიო რაგბის ვიცე-პრეზიდენტ ბერნარდ ლაპორტთან და საფრანგეთის რაგბის ფედერაციის გენერალურ მდივანთან, რაგბი ევროპის ვიცე-პრეზიდენტ კრისტიან დულინთან საქმიანი შეხვედრა უკვე გაიმართა.

შეხვედრაზე მხარეებმა მეგობრობა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს და სამომავლო თანამშრომლობის დეტალებზე ისაუბრეს, რომელიც როგორც საფრანგეთის რაგბის კავშირთან, ასევე მსოფლიო რაგბთან და რაგბი ევროპასთან მომავალ თანამშრომლობას შეეხო: გაცვლით პროგრამებს, არსებული კავშირების გაღრმავებას და ახალი ტიპის ურთიერთობების დაწყებას. ლაპორტმა და დულინმა ქართულ დელეგაციას საფრანგეთის ნაკრების ბაზა, „მარკუსი“ დაათვალიერებინეს. ეს გამოცდილება ქართულ რაგბს ახალი სარაგბო ბაზების პროექტირებაში დაეხმარება.

ქართული და ფრანგული რაგბის მეგობრობა წლებია გრძელდება და ეს ვიზიტი ამ მეგობრობის გამყარების ნაწილია. ამაში ლომის წილი ქართველ ბორჯღალოსნებს მიუძღვით, რომლებიც 2 ათეულ წელიწადზე მეტია ფრანგულ კლუბებში წარმატებით გამოდიან, რასაც უმაღლეს დონეზე თანამშრომლობის გაღრმავება მოყვა.

გარდა ამისა, საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებები ოფიციალური ტურნირებისთვის მომზადების ეგიდით ხშირად სტუმრობენ საფრანგეთს, ჩვენი 18-წლამდელები სადღეისოდაც საფრანგეთში იმყოფებიან და რაგბი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

## შედეგები

**29 აგვისტო**

**ფეხბურთი**

### ესპანეთი. პირველი დივიზიონი

კადისი-ბილბაო ............ 0:4
ვალენსია-ატლეტიკო ............ 0:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-3 | 9 |
| 2.ბეტისი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| 3.ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 8-1 | 7 |
| 4.ვილიარეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 5.ბილბაო | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| 6.ოსასუნა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 7.ატლეტიკო | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 8.სოსიედადი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-4 | 6 |
| 9.მალიორკა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 10.ალმერია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 11.სელტა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 4 |
| 12.რაიო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 13.ვალენსია | 3 | 1 | 0 | 2 | 1-2 | 3 |
| 14.ხირონა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| 15.სევილია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 16.ვალიადოლიდი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-8 | 1 |
| 17.ესპანიოლი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| 18.ელჩე | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 19.ხეტაფე | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |
| 20.კადისი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

გრანადა-ვილიარეალი ბ ............ 3:0
ლას პალმასი-ანდორა ............ 2:0

### იტალია. სერია ბ

კომო-ბრეშა ............ 0:1

### პორტუგალია. პირველი ლიგა

გიმარაეში-კასა პია ............ 0:1
ვიზელა-ჟილ ვისენტე ............ 2:2

### თურქეთი. სუპერლიგა

ქონია-ფენერბახჩე ............ 1:0
ბეშიქთაში-სივასი ............ 3:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-ოლიმპიაკოსი ............ 0:0

### უკრაინა. პრემიერლიგა

მეტალისტი-ინგულეცი ............ 1:1
ოლექსანდრია-მინაი ............ 2:1

### დანია. სუპერლიგა

ბრონდბიუ-მიდტიულანდი ............ 0:2

### შვედეთი. ალსვენსკა

დიურგარდენი-ელფსბორგი ............ 2:1

**ჩოგბურთი**

### ამერიკის ღია პირველობა

### კაცები

ბუბლიკი-გასტონი ............ 6:4,6:4,6:4
სონეგო-ტომპსონი .. 6:2,6:1,2:6,4:6,4:6
დრაპერი-რუუსუვუორი ..... 6:4,6:3,6:3
ბედენე-კაჩინი ......... 4:6,3:6,7:5,6:1,6:7
ფრიცი-ჰოლტი ............. 7:6,6:7,3:6,4:6
ციციპასი-გალანი ......... 0:6,1:6,6:3,5:7
ბონზი-უმბერი ........ 7:6,6:1,5:7,3:6,6:2
კირიოსი-კოკინაკისი ........... 6:3,6:4,7:6

### ქალები

ჩჟანი-ტაიჰმანი ............ 6:4,6:2
რუსე-სევილი ............ 3:6,6:2,6:4
მუხოვა-ტომლიანოვიჩი ............ 3:6,6:7
რუსი-როჯერსი ............ 6:3,3:6,4:6
კონტრერასი-კრეიჩიკოვა ............ 0:6,4:6
კრისტიანი-კონტევეიტი ............ 3:6,0:6
პოდოროსკა-შმიდლოვა ............ 3:6,2:6
ავანესიანი-კრუნიჩი ............ 4:6,4:6
კოვინიჩი-უილიამსი ............ 3:6,3:6
ბეილეკი-სამსონოვა ............ 3:6,1:6
კუზმოვა-ტორმო ............ 6:3,6:4
ფერნანდესი-დოდენი ............ 6:3,6:4

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ტყეში მყოფ ქალს პუმა თავს დაესხა

ამერიკის იუტას შტატში პუმა თავს დაესხა ტყეში მყოფ ქალს და კბილებით ფეხში ჩააფრინდა.

მტაცებლის თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც იუტას მკვიდრი ლაურინ ელშოლცი და მისი მეგობრები სანადიროდ იმყოფებოდნენ ქალაქ რაშველის მახლობლად მდებარე ტყეში. ქალის თქმით, ის ჯგუფს ჩამორჩა და მოულოდნელად ლეშის სუნი იგრძნო. შემდეგ რაღაც ხმაურის ხმა შემოესმა და პუმა ფეხში ჩააფრინდა.

– ძალიან შევშინდი, შოკში ჩავვარდი, ადრენალინის მოზღვავება ვიგრძენი, – გაიხსენა ელშოლცმა.

ქალმა მასზე თავდამსხმელი მტაცებელი ვიდეოზე გადაიღო და შემდეგ გაიქცა.

– უზომოდ მიხარია, რომ თავის გადარჩენა შევძელი და ეს ყოველივე გაცილებით უარესი შედეგით არ დასრულდა, – აღიარა ქალმა, რომელიც ფეხზე მსუბუქი იარით გადარჩა.

ელშოცის თქნით, ბოლოს და ბოლოს, მან და მისმა მეგობრებმა ტყიდან გამოსასვლელს მიაგნეს და პუმამ ამის შემდეგ მათი დევნა შეწყვიტა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გახდება რონალდუ კვარაცხელიას თანაგუნდელი?



ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტოს 00:00 საათზე დაიხურება. ესპანური მედიის ინფორმაციით, არის კიდევ რამდენიმე ტრანსფერი, რომელიც ფეხბურთის გულშემატკივართა ყურადღებას მიიპყრობს.

მარკო ასენსიოს მომავალი კვლავ გაურკვეველია. ბოლო ინფორმაციით, მადრიდის რეალის ფეხბურთელის დამატებას ლონდონის არსენალი ცდილობს. პრემიერლიგაში გადაბარგება თავად ესპანელსაც სურს. მისი გაშვების წინააღმდეგი არც ფლორენტინო პერესია, რადგან კარლო ანჩელოტი 26 წლის ფეხბურთელს ხშირად არ ენდობა და სასტარტო თერთმეტეულის წევრად არ მოიაზრებს.

ასენსიო რეალის ღირსებას 2014 წლიდან იცავს და მადრიდული კლუბის მაისურით 161 მატჩი აქვს ჩატარებული.

კრიშტიანუ რონალდუს მანჩესტერ იუნაიტედის დატოვება სურს, მაგრამ სასურველი გუნდი კვლავ არ მოიძებნა. უპირველესი პრობლემა მისი ასაკი და ხელფასია. ბოლო ცნობებით, პორტუგალიელის დამატება იტალიურ ნაპოლისა და მშობლიურ სპორტინგს სურთ, მაგრამ ვერც ერთი მათგანი რონალდუს სახელფასო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

მანჩესტერელთა 7-იანს კლუბის ახალი თავკაცი ერიკ ტენ ჰაგი არ სწყალობს და, ძირითადად, თამაშებში სათადარიგოთა სკამიდან მცირე დროით შეჰყავს.

ექტორ ბელერინის კარიერა ისე არ წავიდა, როგორც გულშემატკივრები ელოდნენ. ბელერინმა ასპარეზობა ლონდონის არსენალში დაიწყო და „მეთოფეების“ მომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა. ხშირი ტრავმიანობის გამო ექტორმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა, რასაც მოჰყვა მეტ-ნაკლებად წარმატებული იჯარა ბეტისში. სევილიურ კლუბს მისი დატოვება სურს, მაგრამ ინგლისურ კლუბთან სატრანსფერო ფასზე შეთანხმება ვერ ხერხდება. არსენალს მისი უფასოდ გაშვება არ უნდა, თავად ბელერინი კი, „მწვანეთა“ შემადგენლობაში სრულფასოვან გადასვლაზე ოცნებობს.

თუმცა, შესაძლოა, ფეხბურთელისთვის ბრძოლაში ბარსელონაც ჩაერთოს, რადგან მათთვის განაპირა მცველის დამატება გაცილებით უფრო იაფი იქნება, ვიდრე ტომას მუნიესი.

მარსელო ივლისის თვის შემდეგ უგუნდოდაა. ბრაზილიელს კარიერის გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი აქვს. თუმცა, მისდამი ყველაზე დიდ ინტერესს ლევერკუზენი იჩენს.

გავრცელებული ინფორმაციით, მარსელო კარიერის გერმანიაში გაგრძელების ვარიანტს მიესალმება, რადგან მის მოთხოვნებს ყველაზე მეტად ბუნდესლიგური კლუბი აკმაყოფილებს. მადრიდის რეალის ყოფილი ფეხბურთელის დამატება თურქულ გუნდებსაც სურდათ, რაზეც ფეხბურთელმა უარი განაცხადა.

პიერ-ემერიკ ობამეიანგი პრემიერლიგაში დაბრუნებას სულ უფრო უახლოვდება. მას შემდეგ, რაც ბარსელონამ რობერტ ლევანდოვსკი დაიმატა, განელი ფეხბურთელის სათამაშო დრო შემცირდა. მის მიმართ ყველაზე დიდ დაინტერესებას ლონდონის ჩელსი გამოხატავს და ფეხბურთელთან პირადი კონტრაქტიც შეთანხმებულია, დარჩენილია მხოლოდ გუნდებს შორის მოლაპარაკება და ობამეიანგი „არისტოკრატი“ გახდება.

იმ შემთხვევაში, თუ ჩელსისთან მოლაპარაკებები ჩაიშლება, მანჩესტერ იუნაიტედი მზადაა მის გადასაბირებლად იბრძოლოს.

ფეხბურთელის ესპანეთში დარჩენა თითქმის გამორიცხულია, განსაკუთრებით, ბოლოდროინდელი სამწუხარო ფაქტის გამო – გაბონელის სახლში მძარცველები შეიჭრნენ და ფიზიკური დაზიანება მიაყენეს. სახლში შვილები და მეუღლეც იმყოფებოდნენ.

კიდევ ერთი ბარსელონელის, მემფის დეპაის მომავალი ობამეიანგის წასვლაზეა დამოკიდებული. ხავის მხოლოდ 1 ფეხბურთელის გაშვება სურს. ჰოლანდიელის დამატებასთან ყველაზე ახლოს ტურინის იუვენტუსი იყო, მაგრამ თავად დეპაისთან შეთანხმება ვერ შედგა.

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, მის დამატებაზე, შესაძლოა, იუნაიტედმა იმუშაოს – ჰოლანდიელ თავკაცს მისი ვარიანტი მოსწონს.

ტრანსფერი ინგლისში მაინც ნაკლებად სავარაუდოა, რადგან დეპაის პრემიერლიგასთან კარგი მოგონებები არ აქვს. ფაქტია, სათამაშო დრო არც კატალონიელთა შემადგენლობაში ეძლევა. მემფისის მომავალი კვლავ ბურუსითაა მოცული...

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ზურიკო დავითაშვილი ბორდოში გადადის



საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ზურიკო დავითაშვილი ბათუმის დინამოდან ფრანგულ ბორდოში გადავა. შეთანხმება იჯარასა და გამოსყიდვის ვალდებულებაზე უკვე მიღწეულია.

ინფორმაციას თავად 21 წლის ქართველი ფეხბურთელიც ადასტურებს, რომელიც სოციალური ქსელის მეშვეობით ზღვისპირულ გუნდს უკვე დაემშვიდობა

**ზურიკო დავითაშვილი:**

– მოგესალმებით. მოვიდა დრო, როცა მიწევს დამშვიდობება დინამო ბათუმთან. ამ გუნდში ჩემი ცხოვრების ძალიან პატარა პერიოდი გავატარე, თუმცა რამდენიმე თვემ ცხოვრებაში ბევრი დადებითი ემოცია მაჩუქა. ის, რაც ბათუმში ყოფნის პერიოდში ხალხისგან ენერგიად მივიღე, ძალიან დიდხანს გამყვება...

დიდი მადლობა ბათუმის დინამოს ყველა წევრს, ფან კლუბსა და ყველა გულშემატკივარს. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით ამ ზაფხულში თქვენი გახარება ევროტურნირების მატჩებში, თუმცა დარწმუნებული ვარ, დინამო ბათუმი გააგრძელებს წარმატებით წინსვლას და გაახარებს ქართველ ხალხს.

აღსანიშნავია, რომ ჟირონდელებს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვილი სანიოლი 2 სეზონი წვრთნიდა. ახლაც, როცა მუსიე ვილი საქართველოში არ იმყოფება, ბორდოში ცხოვრობს, გავრცელებული ცნობით, დავითაშვილს რეკომენდაციაც მან გაუწია.

ბორდომ საფრანგეთის ელიტარული ლიგა გასულ სეზონში დატოვა და ახლა ლიგა 2-ში ასპარეზობს. ჟირონდელები 5 ტურის მერე 8 ქულით მე-5 პოზიციაზე არიან. არადა, ბორდო საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდია – 6-გზის ჩემპიონი, 4-გზის საფრანგეთის თასისა და 2-გზის ლიგის თასის მფლობელია.

ზურიკო დავითაშვილმა დინამო ბათუმში 18 მატჩში 7 გოლი გაიტანა, საქართველოს ნაკრებში 19-ჯერ აქვს ნათამაშები და 3 გოლი მიითვალა. ასევე უთამაშია თბილისის დინამოსა და ლოკომოტივში, რუსულ რუბინში, როტორსა და არსენალში.

# პარადაშვილი – ესპანური მედია და მეტოქე მამარდაშვილს აქებს



ესპანეთის პრიმერა დივიზიონის მე-3 ტურში მაგარი თამაში ჰქონდა საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი მამარდაშვილს. მართალია, მისი ვალენსია საკუთარ მოედანზე 0:1 დამარცხდა ატლეტიკოსთან, მაგრამ ჩვენებური მატჩის გამორჩეული ფიგურა იყო.

ესპანურმა მარკამ 21 წლის ქართველი მეკარის თამაში 3 ვარსკვლავით შეაფასა, რაც მხოლოდ მას ერგო. ერთადერთი გოლის ავტორ ანტუან გრიზმანსაც კი 2 ვარსკვლავი ჰქონდა.

კიდევ ერთმა ცნობილმა ესპანურმა გამოცემა ას-მა კი, მამარდაშვილი 9 ქულით შეაფასა და ქართველი მეკარის გვარი ოდნავ გადააკეთა.

– პარადაშვილი! ქართველი მეკარის ბრწყინვალე თამაში, რომელმაც ჯერ ჟოაო ფელიქსს წაართვა გოლი და შემდეგ მორატას დარტყმა ფეხით შეაჩერა. მე-2 ტაიმში კი, საკუთარი გუნდი უფრო დიდი ანგარიშით მარცხისგან იხსნა, როცა კარასკოსა და გრიზმანის ძლიერი დარტყმები მოიგერია.

გასულ წელს საქართველოდან რეზერვისტად ჩამოყვანილი მეკარე მარგალიტი აღმოჩნდა და თავიდანვე გუნდის მთავარი გოლკიპერის ამპლუა მოირგო. ფეხბურთი ზოგჯერ ასეთ სიურპრიზებს გვთავაზობს. მეკარის პოზიციის მოგვარებით, გატუზომ საქმის ერთი ნაწილი დაასრულა. მე-2 პრობლემური პოზიცია თავდასხმაა, სადაც კლუბს ახალწვეული ედინსონ კავანის იმედი უნდა ჰქონდეს

აქვე გეტყვით, რომ პარადა, ესპანურად ხსნას (სეივი) ნიშნავს.

გიორგის თამაში დადებითად შეაფასა მისმა ვიზავიმაც, ატლეტიკოს მეკარე იან ობლაკმა:

– მე-2 ტაიმში ჩვენ უკეთესები ვიყავით, გვქონდა საგოლე მომენტები, მაგრამ მათმა მეკარემ თითქმის ყველაფერი მოიგერია და ვალენსიას დაეხმარა ბოლომდე თამაშში დარჩენილიყო.

ვალენსიას 3 ტურის შემდეგ მხოლოდ 3 ქულა (1 მოგება, 2 მარცხი) აქვს. მომდევნო მატჩს კი, 4 სექტემბერს, ხეტაფესთან საკუთარ მესტალიაზე გამართავს.

რაც შეეხება თავად მამარდაშვილს, მიმდინარე სეზონში 3 მატჩში კარი მშრალად ერთხელ შეინახა, მაგრამ მხოლოდ 2 გოლი აქვს გაშვებული.

# ბასილაშვილი ყველაფერს აგებს



ეს უკვე ზედმეტია – ბოლო პერიოდში ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ყველასთან ყველაფერს აგებს. ასე მოხდა ამჯერადაც – ამერიკის ღია პირველობა ჩვენებურისთვის დასაწყისში დასრულდა.

წაგებაც არის და წაგებაც – ბასილაშვილი ატპ-ს რეიტინგში 174-ე ჩოგანთან, ჩინელ იბინ ვუსთან საათნახევარში უშანსოდ დამარცხდა – 3:6; 4:6; 0:6.

თუ წინააღმდეგობა ჰქვია, ბასილაშვილმა მეტოქეს პირველ და მეორე სეტში გაუწია. თუმცა, ორგანვე თითო საკუთარი ჩაწოდება წააგო, ხოლო საპასუხო ვერაფერი გაახერხა. მესამე სეტში რაც მოხდა, ანგარიშიდანაც ჩანს...

ვუ კი, მამაკაცთა ჩოგბურთში თავისი ქვეყნის ისტორია გადაწერა – გახდა პირველი ჩინელი მამაკაცი, რომელმაც 1959 წლის შემდეგ დიდი სლემის ტურნირებზე ერთეულთა თანრიგში შეხვედრა მოიგო.


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**



**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. გერმანიაში განთავსებული ევროპაში უდიდესი თბოელექტროსადგური; 3. შტატი აშშ-ში; 4. ალალბედზე, შემთხვევითი წარმატების იმედზე წამოწყებული საქმე; 5. პოლონელი კინორეჟისორი; 6. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 8. მგლის, ძაღლის გაბმული ხმიანობა; 11. ძვლის მაგვარი ნივთიერება, კბილის შემადგენელი ნაწილი; 14. ქალაქი ისრაელში; 15. სტუმრების მისაღებად წინასწარ დანიშნული კვირის ესა თუ ის დღე ძველად; 16. მსოფლმხედველობა, რომელიც გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულით, პატივისცემით; 17. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ მეკარე; 19. ადამიანის დასნებოვნება ცხოველური პარაზიტებით; 21. შიშველი, წვეტიანი კლდე; 22. ბარიტის საბადო რაჭაში.

**თარაზულად:** 1. მოძღვრება მეღვინეობის შესახებ; 5. მინერალური წყლების ძველი ქართული სახელწოდება; 7. პოემა „სტუმარ-მასპინძელი“-ს პერსონაჟი; 9. საზოგადოების განვითარების დონე; 10. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 12. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 13. ქვემეხის ერთ-ერთი სახეობა; 16. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 17. აფრიკული ანტილოპა; 18. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 20. თემის, გვარის წინამძღოლი შუა აზიაში; 22. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 23. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 24. ზღვის დიდი ტალღა; 25. სუბტროპიკული ხილი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პრომეთე; 2. კაკანათი; 3. ბითაძე; 4. მუაში; 5. ყარაყუმი; 8. გენოციდი; 12. დაბა; 13. ეკოლოგია; 14. სვინგი; 16. ტარიელი; 18. ზურნა; 20. გემა.

**თარაზულად:** 6. პრელუდია; 7. უტინოურა; 8. გელათი; 9. მეგრე; 10. მაჩაბელი; 11. ხონდრიტი; 15. აკრედიტივი; 17. ღამურა; 19. განგსტერი; 21. აგუძერა; 22. პატრიარქი; 23. მარწყვი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ორაკული; 3. აპატრიდი; 4. ობივატელი; 5. ლანჩი; 6. ერზაცი; 8. ბრინზა; 11. გუდრუნი; 14. ონომასტიკა; 15. ბირთვისი; 16. ალტერაცია; 17. ფაგოტო; 19. პატენტი; 21. კილტი; 22. შხარა.

**თარაზულად:** 1. ბოტაფოტო; 5. ლილე; 7. ემბაზი; 9. მაჭავარიანი; 10. ზუგდიდი; 12. აციდოზი; 13. გრეგორი; 16. ამნერისი; 17. ფიტი; 18. ოპიზა; 20. სკალპელი; 22. შპიგი; 23. რეესტრი; 24. ცხვარი; 25. ტოსკა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


31 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9045

ევრო — 2.9126

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.4029

100 რუსული რუბლი — 4.7812

## ამინდის პროგნოზი 31 აგვისტოსათვის




## კვარაცხელია იტალიაში პირველად გააკრიტიკეს



ხვიჩა კვარაცხელიამ ფიორენტინასთან არცთუ კარგი შეხვედრა ჩაატარა, თუმცა მან მაინც მოახერხა ერთი კარგი პასის გაკეთება, რომლის შემდეგაც ლოსანოს გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა. იტალიურ პრესაში კვარაცხელიაზე დაწერეს, რომ მას დრიბლინგი არ გამოუვიდა და ფიორენტინას მცველები ადვილად გაუმკლავდნენ. მიუხედავად ამისა, მათ აღნიშნეს, რომ ხვიჩა მთელი მატჩის მანძილზე აქტიური იყო და შეეძლო საგოლე პასიც მიეთვალა.

## ჩელსი ობამეიანგის შეძენას ისევ ცდილობს



ლონდონის ჩელსი პიერ ემერიკ ობამეიანგს არ ეშვება და ლონდონელები კვლავ ცდილობენ მის შეძენას, მიუხედავად იმისა, რომ სატრანსფერო ფანჯარა დასასრულს უახლოვდება. ბარსელონაში ობამეიანგმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა, ამიტომ მას წასვლა სურს და ბარსელონაც არ არის მისი გაყიდვის წინააღმდეგი.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კოტე ჩოლოყაშვილი 100 წლის გახდებოდა



ცნობილი მეცნიერი და ისტორიკოსი კოტე ჩოლოყაშვილი 100 წლის გახდებოდა. მან მთელი თავისი ცხოვრება ქართულ მეცნიერებას და საინტერესო და უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მუშაობას მიუძღვნა. 91 წლის ასაკში გარდაცვლილი შემოქმედი თამრო ოქრუაშვილმა საინტერესო ისტორიებით გაიხსენა:

— 100 წელი შესრულებია. ოქროს ადამიანი — კოტე ჩოლოყაშვილი:

„ბოლშევიკებმა მამაჩემი ჩეკაში დაკითხვაზე წაიყვანეს, უთქვამთ: შენ მენშევიკები ბათუმამდე გაგიცილებიაო, მამაჩემს ირონიულად უპასუხია: თქვენ რომ წახვალთ, სტამბულამდე გაგყვებითო".

„გასული საუკუნის 70-იან წლებში პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბატონი კოტეს შტატი მცირე ხნით საათობრივად მიწვეულის სტატუსით შეუცვლიათ, ინსტიტუტის რექტორს — ნათელა ვასაძეს მორიდებით უკითხავს:

— ხომ არ გეწყინათ, ბატონო კოტე?

კოტეს ასეთი პასუხი დაუბრუნებია: — მთელი კახეთი წამართვით და ვერაფერი ვქენი და შტატზე თავს ხომ ვერ მოვიკლავო."

„ერთხელ თელავში მყოფს იქაური პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ნიკო ქორთუა მეუბნება: — კეთილი იყოს თქვენი სტუმრობაო...

გამეცინა: — რა დრო დადგა? თელავში ჩოლოყაშვილს ქორთუა მასპინძლობსო."

## ასტროპროგნოზი



### 31 აგვისტოსათვის

**ვერძი** — ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** — კარგი დროა ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** — თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით, დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. თავს ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** — ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** — შემოქმედ ადამიანებს კეთილისმყოფელი დღე აქვთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** — თქვენს მტრებზე შური არ იძიოთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** — არც ზედმეტი თავდაჯერებულობა ვარგა და არც გაუბედაობა. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** — ძალიან გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** — პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** — იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** — ვარსკვლავები სასიყვარულო ურთიერთობებში გეხმარებიან. ბედი გწყალობთ. **თევზები** — ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

ერთი მეგობარი მეორესეუბნება:

— ქალი და სექსი ისეა, როგორც ჩინოვნიკი და ქრთამი.

— ეგ როგორ?

— როგორ და, თავიდან: — ოჰ, არა, არა! შემდეგ: — ასე ცოტა?!

●●●

სამხედრო ნაწილის მეთაური ჯარისკაცს ეკითხება:

— შენ საიქიო ცხოვრების გჯერა?

— ???

— ნაწილის შემოსასვლელში ბებია გელოდება, ერთი თვის წინ მის გასვენებაში რომ იყავი წასული.

●●●

კაცს ეკითხებიან:

— რომელი ქვა გიცავთ?

— რომელიც ხელში მომყვება, ის დამიცავს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— როგორ შეიძლება ყველაზე იაფად დაბადების დღის აღნიშვნა?

— კალენდარზე წითელი ფანქრით.

●●●

მამა შვილს ჭკუას არიგებს:

— შვილო, იცოდე, ჭკვიან ადამიანს ყოველთვის ყველაფერში ეჭვი ეპარება. მხოლოდ სულელია ყოველთვის ყველაფერში დარწმუნებული.

— მამიკო, დარწმუნებული ხარ?

— აბსოლუტურად!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ია ფარულავა: „ცნობილი სახე ნიშნავს, იყო აცრილი ქებაზე"!



ასე მიაჩნია მსახიობსა და ტელეწამყვანს ია ფარულავას და ამას სხვებსაც გულწრფელად ურჩევს:

— წლების გამოცდილებამ ჩემს სფეროში — ტელევიზია, შოუ ბიზნესი — მანახა, რომ არასოდეს არ უნდა ვუპასუხო ვინმეს ცინიკურ ან შეურაცხმყოფელ განცხადებას. ცნობილი სახე ნიშნავს, იყო აცრილი ქებასა და ძოძოლაზე... აიცერით, აიცერით, გამოგადგებათ!

## ბადრი ვადაჭკორიას ფოტოები შვედეთში გამოიფინება




ცნობილი ფოტოხელოვანის ბადრი ვადაჭკორიას ფოტოები შვედეთში გამოიფინება. ექსპოზიცია საქართველოსა და შვედეთის 30-წლიან დიპლომატიურ ურთიერთობას მიეძღვნება.

**ბადრი ვადაჭკორია:**

— შვედეთში საქართველოს საელჩოსა და პირადად ელჩის ირაკლი ხუცურაულის თაოსნობითა და შვედეთის სამეფოს კულტურის მინისტრ იანეტ გუსტაფსდოტერთან შეთანხმებით, საქართველოსა და შვედეთის სამეფოს შორის 30-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობის აღსანიშნავად, 29 სექტემბერს გაიმართება ჩემი ფოტოგამოფენა „ეს ჩემი საქართველოა".

გიჩვენებთ იმ ფოტოებს, რომელსაც იხილავენ გამოფენის სტუმრები: 1. ჩემი უსაყვარლესი ფოტო — უფლისციხე!

## შერონ სტოუნმა ალექსანდრე ზაზარაშვილის ვიდეო ინტერნეტში გაავრცელა



უკრაინული „ვოისის" ქართველი გამარჯვებულის ალექსანდრე ზაზარაშვილის ვიდეო მსოფლიო ვარსკვლავმა შერონ სტოუნმა სოციალურ ქსელში გააზიარა.

ალექსანდრე ამჟამად ამერიკაში იმყოფება და მუსიკალურ კარიერაში კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასასვლელად ემზადება.

**ალექსანდრე ზაზარაშვილი:**

— ეს რა დილა გათენდა!

მწერს უკრაინული „ვოისის" მთავარი პროდიუსერი ამ უმაგრეს ამბავს, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავმა შერონ სტოუნმა ჩემი ვიდეო გააზიარა!

არ მჯერა!

## რადიოწამყვანი ლია ძიძიგური გარდაიცვალა

„საქართველოს რადიოს" ერთ-ერთი ცნობილი წამყვანი, ჟურნალისტი ლია ძიძიგური გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია ჟურნალისტმა **ივანე ჯაფარიძემ** გაავრცელა:

— არ მეგულება საქართველოს რადიოს ჭეშმარიტი მოყვარული, მისი შესანიშნავი გადაცემების წყალობით, ლია ძიძიგურის სახელი რომ არ გაეგონოს.

ათეული წლები დიდი მეგობრობა გვაკავშირებდა, არა მხოლოდ როგორც რადიოს თანამშრომლებსა და კოლეგებს, არამედ როგორც რესპონდენტსა და გადაცემის წამყვანს. იცოდა რა ჩემი ხასიათი, დიდხანს „მამუშავებდა" ჩემი გამზრდელის, მთამსვლელისა და თაობების აღმზრდელის, ალექსანდრა ჯაფარიძის შესახებ დეტალურად მესაუბრა მის გადაცემაში.

შინაურებზე საუბარს ყოველთვის გავურბოდი და მასაც დიდხანს „ვუძალიანდებოდი": — ჩემიანებსა და ახლობლებზე არ შემიძლია ლაპარაკი-მეთქი. მან კი, როგორც იცოდა, ძალიან მშვიდად და აუღელვებლად „განმაიარაღა": — ახლობელი და შენი „საკუთრება" იყო, როცა ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდით, ახლა იგი მთელი საქართველოს კუთვნილებაა, ასე რომ, „საკუთრებაჩამორთმეულმა", კეთილი ინებე და მობრძანდი ჩემთან სტუდიაშიო. რა თქმა უნდა, ვისაუბრეთ და ეს გადაცემაც, მის უამრავ გადაცემებთან ერთად, საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდის" კუთვნილება გახდა.



გარდა ამისა, ძვირფას ლიას მუდამ აინტერესებდა ჩემი მოგზაურული შთაბეჭდილებების მოსმენა და როცა მივლინებიდან ან მომთაბარე მოგზაურობებიდან დაბრუნებულს შემხვდებოდა, მეტყოდა: — აბა, როდის მომიყვები, სად რა „მოიწანწალე" (ჩვენი ახლო მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე, მას ჰქონდა ასეთი სიტყვებით მომართვის უფლება). საუბარს ყოველთვის ინტერესით ისმენდა და ხანდახან დანანებით მეტყოდა: — რა ბედნიერი ხარ, ამდენს რომ დადიხარ, ნეტა, ცოტა ახალგაზრდა ვიყო, მეც გამოგყვებოდიო.

არ დამავიწყდება მისი გაოცება და გაფართოებული თვალები, სვანეთიდან ჩამოსულმა „პატაკი რომ ჩავაბარე", ახალგაზრდებთან ერთად მწვერვალ ბანგურიანზე ავედი 65 წელს გადაცილებული-მეთქი. ჯერ არ დამიჯერა, მაგრამ იცოდა, რომ არასდროს ვიტყუებოდი, თანაც ხუმრობით დავამატე: — იცი, რომ ბანგურიანი მიხეილ ხერგიანის პირველი მწვერვალი იყო, ჩემთვის კი ბოლოა-მეთქი, რაზეც ბევრი იცინა და „მისაყვედურა": — ამდენს ნუ მაცინებ, სახეზე ნაოჭები მომემატებაო.

გარდა ამისა, ვინ იცის, კიდევ რამდენი გულითადი და კეთილი დღეები გვაქვს გასახსენებელი, რამდენი ტკივილი თუ სიხარული განგვიცდია ერთად. მთავარი ის იყო, რომ თუ ახლობლად გთვლიდა, შენი წარმატებით გულწრფელად ხარობდა და სასაყვედუროსაც ისე გეტყოდა, კი არ გეწყინებოდა, შეგრცხვებოდა და დაფიქრდებოდი. მუდამ ღიმილიანი და სიკეთით სავსე იყო ჩვენი ძვირფასი და საყვარელი მეგობარი, საკუთარი ხელწერის მქონე შესანიშნავი ჟურნალისტი — ლია ძიძიგური. მან ძალიან ბევრი ღირსეული ადამიანის გულში დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი, რაც მისი პიროვნული მასშტაბურობის მაჩვენებელია.

დასანანი და ძალზე სამწუხაროა, რომ ამიერიდან, ახლობლებსა თუ მეგობრებს, აღარასოდეს შემოგვანათებს მისი სხივიანი თვალები და დაგვაკლდება მისთვის ჩვეული მეგობრული თანადგომა.

ნათელში იყავ საყვარელო მეგობარო, ძვირფასო ლია, ვიდრე ვისულდგმულებთ, არასოდეს დაგივიწყებთ! მსუბუქი იყოს შენთვის, ღვთივკურთხეული მშობლიური მიწის წიაღი!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პენიცილინის აღმომჩენი ფრანგი ექიმი; 2. ფულად-სავალო ხელშეკრულება; 3. სასტუმრო თბილისში; 4. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 5. უბანი თბილისში; 8. ტბა უნგრეთში; 12. საკარმიდამო მამული საფრანგეთში; 13. ჭადრაკის პარტიის დასკვნითი ნაწილი; 14. მცენარის ღეროებით მოწნული იატაკის საფენი; 16. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 18. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. მკაცრი აკრძალვა.

**თარაზულად:** 6. თანაბარზომიერება, პროპორციულობა რაიმეს განლაგებაში; 7. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 8. ქართველი მოფარიკავე მამაკაცი, ევროპის ჩემპიონი; 9. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იტალიაში; 10. წითელი ფერის, მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 11. ცნობილი ქართველი ჰომეოპათი ექიმი, პროფესორი; 15. ცილისწამება, მონაჭორი ვინმეს სახელის გასატეხად; 17. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 19. ორკუზიანი აქლემი; 21. მუნჯი კინოს ფრანგი კომიკოსი; 22. პროფესიონალი ცილისმწამებელი, შანტაჟისტი ძველ საბერძნეთში; 23. ნილოსისპირა პოპულარული კურორტი ეგვიპტეში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

